საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 28 (272) ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 9 თებერვალს დილიდან მდინარე გუმისთაზე შედარებით სიმშვიდე იყო. 19 საათისათვის მტერმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა ქალაქ სოხუმს. ჭურვები აფეთქდა სხვადასხვა ქუჩაზე. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის. საპასუხო საარტილერიო ცეცხლის შედეგად აფხაზთა მხარე იძულებული შეიქნა შეჩერებულიყო.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, დღე-ღამის მანძილზე შედარებითი სიმშვიდე იყო შენარჩუნებული.

9 თებერვალს ქ. ტყვარჩელში კვლავ გაიგზავნა ჰუმანური ტვირთი.

იოსებ გობეჩია.

დაწვეს ქართული სკოლა

აფხაზმა ექსტრემისტებმა კიდევ ერთი ვანდალური აქტი ჩაიდინეს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, გუდაუთაში მათ ცეცხლი გაუჩინეს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული საშუალო სკოლის შენობას. ამ სკოლის განადგურების მცდელობის ფაქტი არ ახალია, ძველია. აფხაზ ექსტრემისტებს წინათაც რამდენჯერმე უცდიათ ამ მართლაც საუკეთესო ტრადიციების მქონე სკოლის დაწვა. მაგრამ, სკოლის დირექციისა და გუდაუთის ქართველი მოსახლეობის აქტიური ჩარევის შედეგად მათი ყველა მცდელობა ამაო იყო. დღეს კი გუდაუთის ქართველი ახალგაზრდობის განათლების კერა მთლიანად დაიწვა.

სიკვდილი არ უნდათ

სოხუმის კარგად გათვითცნობიერებულ აფხაზურ წრეებში ამბობენ, გუდაუთის მმართველებს განსაკუთრებით აწუხებთ ის, რომ ბევრ აფხაზს არ სურს იარაღით ხელში იბრძოლოს. ამაოდ მოითხოვენ სამხედრო კომენდატურები, აგრეთვე გუდაუთის რაიონისა და ქალაქ გაგრის ადმინისტრაციები ნათესავებისაგან, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გამგზავრებული აფხაზები დაბრუნდნენ გუდაუთაში და ხელი მოჰკიდონ იარაღს. როგორც ჩანს, მანეთებისათვის სიკვდილი აღარც ბევრ დაქირავებულს სურს. ამ დღეებში საკონტროლო-გამშვებ პუნქტში მდინარე ფსოუს ხიდზე ქალაქ გაგრის კომენდატურამ დააკავა 6 კაზაკი, რომლებიც შინ დროზე ადრე მიდიოდნენ.

ტრაგედია...

გაზეთმა „დემოკრატიჩესკაია აბხაზია" აღწერა ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდათ ქართველ ლტოლვილებს, ხანწულად რომ გადაურჩნენ ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტას ქალაქ გაგრასა და მის მიდამოებში. სოფელ განთიადის მახლობლად ამას წინათ აღმოაჩინეს ავტომატებით დაცხრილული სოფელ ბზიფის 9 მცხოვრების გვამი. ერთი თვის წინათ აფხაზ გვარდიელთა ჯგუფმა, თითოეული მათგანისაგან მიიღო რა 30-50 ათასი მანეთი და ძვირფასეულობა სოჭში გადაყვანისათვის, ბზიფელები ავტომანქანებით წაიყვანა. მას შემდეგ მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

თენგიზ ჯიბუტი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

რეპორტაჟი ომიდან

საბრძოლო პოზიციებზე და ქალაქში

ცნობები ფრონტიდან — სხვანაირად ვერც უწოდებ ინფორმაციას, რომელიც მდინარე გუმისთის პოზიციებიდან, ოჩამჩირის რეგიონიდან მოდის. აი ერთ-ერთი ახალი ცნობა: აფხაზეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდლობის მთავარი შტაბის ცნობით, მდინარე გუმისთაზე, რომელიც უკანასკნელი თვეების მანძილზე მთავრობის ჯარებისა და აფხაზეთის სეპარატისტული ფორმირებების წყალგამყოფი გახდა, შეიმჩნევა ბოევიკთა კონცენტრაცია. იქნებ სოხუმის ახალ შტურმს უნდა ველოდოთ.

ქალაქი კი ცხოვრობს, როგორც შეეფერება ფრონტისპირა დასახლებულ პუნქტს. მუდმივი სროლა მოპირდაპირე ნაპირიდან, რიგები პურზე, ზრუნვა სითბოსა და საკვებისათვის...

სურათებზე: კონტრიერიშზე გადავიდნენ გვარდიელები; ისინი ერთად აღმოჩნდნენ, ერთ სათვალთვალო პუნქტში, გამოცდილი ავღანელი მეომარი, უფროსი კაპიტანი გურამ კვარაცხელია და ახალგაზრდა გვარდიელი გია სალუქვაძე; აი, ასე ცხოვრობენ დღეს სოხუმელები.

ბორის ალექსანდრიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



თუ ყველა დედა აღიმაღლებს ხმას ომის წინააღმდეგ, ჩვენ შევაჩერებთ სისხლისღვრას, რადგან დედის ხმა ნებისმიერ იარაღზე უფრო ძლიერია!

აფხაზეთის დედების მიმართვა

ძვირფასო დებო და მეგობრებო, დედებო: ქართველებო, აფხაზებო, საქართველოს ყველა სხვა ერისა და ეროვნების ქალებო! ჩვენ სხვებზე უფრო მეტად გვაღელვებს ძმათამკვლელი ომი, რომელიც აფხაზეთში ჩვენს მიწა-წყალზე მძვინვარებს, რომელმაც ცეცხლითა და სისხლით გაწყვიტა საუკუნეობით ჩამოყალიბებული ნათესაური და კეთილმეზობლური კავშირურთიერთობა, დააყენა ოჯახები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს.

ასობით დედის გული აღსავსეა ყველაზე ახლობელი ადამიანების — უაზრო ომის მსხვერპლთა დაკარგვის სიმწარით და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. მწარეა იმის შეგნება, რომ ეს ხდება ორი უძველესი ხალხის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც საუკუნეობით ცხოვრობდნენ მეგობრულად და თანხმობით. ვერც ერთი დედა, ისევე როგორც ვერც ერთი ხალხი ვერ შეურიგდება თავისი შვილების დაღუპვას უაზრო ძმათაშორის ომში, რომელსაც ეწირება ჩვენი ერების მომავალი, რომელიც სრული მოსპობის საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვან ხალხებს. ჩვენ სიცოცხლეს ვანიჭებთ შვილებს სიხარულისა და ბედნიერებისათვის, ერის აყვავებისათვის, და არა იმისათვის, რომ მსხვერპლად შევწიროთ ვაი-პოლიტიკოსების უგნურ ამბიციებს. განა შეიძლება დედური სიყვარულის ნიადაგზე წარმოიშვას მტრობა და სიძულვილი ადამიანთა შორის? განა აკვნისა და ოჯახური კერის სითბოს, რომლის განსახიერება იყო და მუდამ იქნება დედა, შეუძლია გააღვივოს ძმათამკვლელი ომის ყოვლისმომსპოლი ცეცხლი? არა. და კიდევ ერთხელ არა.

დედა სიცოცხლის შემოქმედია და მისი წმინდა დევიზია სიცოცხლე ბედნიერებისა და მშვიდობისათვის. დედა მხარს ვერ დაუჭერს უკანასკნელ ადამიანამდე ომის ბოდვით იდეას, იქნება ის აფხაზი, ქართველი თუ რომელიმე სხვა ხალხის წარმომადგენელი. დედობის დანიშნულება ღმერთისა და ბუნების მიერ არის განსაზღვრული: სიცოცხლე სიცოცხლის გადარჩენისათვის, და არა მისი მოსპობისათვის.

მთელი საქართველოს და აფხაზეთის ქალებო, ძვირფასო დებო! წმინდა დედობის ბუნება მოითხოვს ხმა ავიმაღლოთ დანაშაულებრივი ომის, ჩვენი კერების დანგრევის, ჩვენი შვილების — ჩვენი მომავლის დაღუპვის წინააღმდეგ.

მხოლოდ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აფხაზ-ქართველთა კონფლიქტის მხარეების უსწრაფესი მოლაპარაკება ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუთქმელად დაგვიმშვიდებს გულს, მშვიდობასა და თანხმობას დაასადგურებს ჩვენს ოჯახებში.

ჩვენ, დედების მიტინგის მონაწილენი, რომლებიც აფხაზეთის ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოვედით, მოგიწოდებთ გამოიყენოთ დედური დარწმუნებისა და გავლენის მთელი ძალა, მოსთხოვოთ მთავრობას, პოლიტიკოსებს გამოეხმაურონ ჩვენს მოწოდებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი, გამონახონ კომპრომისები და მშვიდობა და თანხმობა მოუტანონ ჩვენს შვილებს. ის, ვინც მხარს უჭერს სამარცხვინო ძმათამკვლელ კონფლიქტის განგრძობას პრინციპით „უკანასკნელ ადამიანამდე", იქნება ის აფხაზი თუ ქართველი, რუსი თუ სომეხი, ბერძენი თუ ჩეჩენი, არ უწყის, რას სჩადის.

დიახ, ხდება ხოლმე, რომ ღვიძლი ძმებიც წაიჩხუბებენ და ისინი შეიძლება გაამწვავოს ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ამ დროს მიუსწრებს, მაგრამ რიგდებიან თვითონაც, სხვის დაუხმარებლად, რადგან არ შეუძლიათ ნამდვილი მტრობა. მაშ რატომ ვერ რიგდებიან ერთმანეთთან წაჩხუბებული ჩვენი ძმები და შვილები? ნუთუ თავიანთი სადავო საკითხები მათ უნდა გადაჭრან წყეული მომაკვდინებელი იარაღის მეშვეობით? ჩვენი შვილების მოსპობის გზით? არა. ეს სამარცხვინოა. ეს არ ეკადრება ჩვენ ძმებსა და შვილებს. დარწმუნებული ვართ, თუ ყველა დედა აღდგება ომის წინააღმდეგ, მისი განგრძობის მომხრეთა, ჩვენი უდანაშაულო ახალგაზრდობის მოსრის წინააღმდეგ, მაშინ ვიხსნით ჩვენს მომავალს, ჩვენს ახალგაზრდა თაობას. მაშინ, რაღას ვაკეთებთ ჩვენ, ქალები? ვის ველით? რატომ ვუწყობთ ხელს ჩვენი დუმილით ომის განგრძობას? განა არ კმარა ჩვენ მიერ დაღვრილი ცრემლი? განა იმისთვის ვაწოვეთ ძუძუ, ავზარდეთ, მოვუარეთ ჩვენს პატარებს, რომ საზარბაზნე ხორცად ვაქციოთ ისინი? რომ კლავდნენ ერთმანეთს, თავიანთ ნათესავებს, მეგობრებს? რატომ ვდუმვართ, პატივცემულო დებო? ჩვენ გამოვიფიტეთ, აღარ მოგვდის ცრემლი, ვეღარ ვტირით დაწყევლილი ომის სულ ახალ-ახალ მსხვერპლს, გამუდმებით ძაძები გვაცვია. ნუთუ ასე, უსიტყვოდ უნდა ვუყუროთ ჩვენი შვილების ჟლეტას, რომლებისთვისაც ვცოცხლობდით? როდემდე ვითმინოთ? არა, მოდით, ძვირფასო დებო, გავერთიანდეთ და ავიმაღლოთ ხმა, ნუ დაველოდებით უარესს, რათა ეს ხმა მისწვდეს ღმერთსა და ძმათამკვლელობის განგრძობის მომხრე უსულგულო ადამიანებს.

დაუნდობლად კლავს ძმა ძმას, ძარცვავენ ერთმანეთს... განა ასე ცხოვრობდნენ, ეს გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა? ისინი ყოველთვის ერთიანი იყვნენ, ყოველთვის ერთად იბრძოდნენ, ერთად იცავდნენ თავიანთ წმიდათაწმიდა მიწა-წყალს. აფხაზეთისა და ქართლის მმართველები არჩილი და ლეონ პირველი, რომლებმაც დაამარცხეს უბოროტესი მტრები — არაბები, ერთმანეთს აძლევდნენ წმიდათაწმიდა ფიცს, რომ სამუდამო მეგობრობა იქნებოდათ ჩვენს ხალხებს. ნუთუ ყოველივე ეს დღეს უნდა მოვსპოთ და ვუმტროთ ერთმანეთს?

დიახ, არიან ძალები, რომლებსაც სურთ ჩვენი გათიშვა. მაგრამ არა, ჩვენი გათიშვა შეუძლებელია. ამ მძიმე ტრაგიკულ დღეებშიც კი მეზობელი მეზობელს გვერდში უდგას ჭირში, ეხმარება, დასტირის მოკლულებს. შეყვარებული ქალიშვილები და ჭაბუკები უწინდელივით ქმნიან ბედნიერ ოჯახებს, არ დაგიდევენ, ვინ ხარ ეროვნებით, აფხაზი თუ ქართველი.

დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ყველა დედა აღიმაღლებს ხმას ომის წინააღმდეგ, ჩვენ შევაჩერებთ სისხლისღვრას, რადგან დედის ხმა ნებისმიერ იარაღზე უფრო ძლიერია.

ძვირფასო დებო, მოგიწოდებთ ყურად იღოთ ჩვენი ხმა ამ მძიმე დღეებში. დედისათვის არ არსებობს სხვისი უბედურება, განსაკუთრებით კი ჩვენთვის, რომლებსაც გვაკავშირებს არა მარტო ერთიანი მიწა-წყალი, არამედ სისხლით ნათესაობა.

მიღებულია აფხაზეთის დედების მიტინგზე 1993 წლის 28 იანვარს ქალაქ სოხუმში.

ვინც არ უნდა დაგვეხმაროს — თავს თავად უნდა მივხედოთ...

— რაოდენ მცირეც უნდა იყოს თქვენი დახმარება, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს ჰუმანური მისიის წევრებთან შეხვედრისას, — ჩვენ მაინც მადლობელი ვიქნებით. თუმცა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თავს თავად უნდა მივხედოთ, და ეს ასეც იქნება. მართალია, გაგვიჭირდება 2-3 წელი, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რათა დავძლიოთ არსებული სიძნელეები. მთავარია, დამთავრდეს ომი — მას ჩვენში არა აქვს სოციალური თუ ეროვნული საფუძველი. ქართველები და აფხაზები, სხვა ხალხები ჩვენში საუკუნეების განმავლობაში კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ და ეს ასე იქნება კვლავაც. სამწუხაროდ, — აღნიშნა მან, — ეს ტოტალიტარული რეჟიმის შედეგია, როცა ცენტრი თვით ქმნიდა რეგიონულ კონფლიქტებს, აღვივებდა მათ, ხოლო როცა დრამატული სიტუაციები იქმნებოდა, რომლებიც ცენტრისათვის საშიში ხდებოდა, თვით იღებდა ზომებს მის ჩასაქრობად.

სახელმწიფოს მეთაურმა ზუსტი დახასიათება მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში, რომლის შეცდომები დაემატა ცენტრის ცოდვებს, გამოკვეთა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები, ილაპარაკა რუსეთის ფაქტორზე და სხვა. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო მყარად დადგა დემოკრატიული განვითარების გზაზე. ჩვენმა ხალხმა, — დასძინა მან, — ხმა მისცა დემოკრატიას და ამით თავისი არჩევანი გააკეთა. საქართველო მტკიცედ ივლის ამ გზით და მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა იქნება.

ე. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხი არ აპირებს სხვის ხარჯზე ცხოვრებას, მისი გასაჭირი დროებითია და მას შესწევს უნარი, დაძლიოს სიძნელეები, თქვა მან, — გვამხნევებს იმის შეგრძნება, რომ მარტონი არა ვართ, რომ მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიისათვის ბრძოლას, რომ გაერო, მისი ორგანიზაციები, გენერალური მდივანი ბატონი ბუტროს გალი უდიდესი გულისხმიერებით ეკიდებიან ქართველი ერის დღევანდელ პრობლემებს.

გაეროს ჰუმანური მისიის ხელმძღვანელმა რობერტ სურიამ, გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში თეოდორე სტანკევიჩმა, დელეგაციის წევრმა კლარენსმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა კონკრეტული დახმარების გაწევა შეუძლიათ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. შიდა ქართლში, აფხაზეთში, საქართველოს სხვა რეგიონებში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

— ვინც ახლა დაგვეხმარება, — განაცხადა საუბრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — ის ჩვენი ნამდვილი მეგობარია.

საუბარი ელჩთან

10 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის საქმეთა დროებითი რწმუნებული საქართველოში ბატონი იოავა ბიმარი.

გაიმართა გულთბილი საუბარი, რომლის დროს განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტი. ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს, დავამყაროთ სანიმუშო ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, და ასევე განვავითაროთ კონტაქტები რეგიონალური ხასიათის პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. ისრაელსა და საქართველოს ისტორიულადაც ბევრი აქვთ საერთო. მსგავსია ჩვენს წინაშე არსებული მთელი რიგი პრობლემებიც. საქართველოსათვის სასარგებლო იქნება ისრაელის გამოცდილების შესწავლა მათი დაძლევის გზების ძიებისას. ეს ყოველივე ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ამიტომ, — დასძინა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — საქართველო გულითადად მიესალმება ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

ისრაელის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, უღრმესი მადლობა გადაიხადა გულთბილი და შთამბეჭდავი მიღებისათვის, იმ სითბოსათვის, რომელიც მას საქართველოში აგრძნობინეს ჩამოსვლისთანავე. გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრული დამოკიდებულება დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, კულტურულ განვითარებას, არამედ, დადებითად იმოქმედებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების კავშირურთიერთობებზეც, რეგიონის საერთო პოლიტიკურ კლიმატზე.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამსახური.

●

სურათზე: შეხვედრის დროს.

ზივი კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

⊙ როგორ დავაკმაყოფილოთ სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილება? 2
⊙ გვჭირდება კანონი საქართველოში ტურიზმის შესახებ. 4

ჭორებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია

ედუარდ შევარდნაძის ტელეინტერვიუდან

რუსეთის ერთ-ერთმა რადიოარხმა გადმოსცა ცნობა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს შეიარაღებული ძალები ემზადებოდნენ აჭარაში შესაჭრელად. თქვენ თავიდანვე ამ ფაქტს, ამ ცნობას სრულიად უსაფუძვლო უწოდეთ. მაგრამ დღეს აჭარასთან ახლომდებარე რეგიონში გაიმართა არცთუ დიდი, 200-300-კაციანი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა დაგმეს ასეთი ჩანაფიქრი და პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები და მხედრიონი თითქოსდა აჭარაში უნდა შეიჭრან.

როგორ ფიქრობთ, რას ჰგავს უკვე ეს?

— ესე იგი, თუ ლაპარაკია სახელმწიფოებრივ დონეზე, მე მიმაჩნია, რომ არათუ სერიოზული საუბრისთვის, ეჭვისთვისაც კი არ შეიძლება არსებობდეს რაიმე საფუძველი. ძნელია, კაცმა ამაზე უფრო დიდი უგუნურება მოიფიქროს, ვიდრე აჭარაში შეიარაღებული ძალების შეყვანაა. რატომ და რისთვის? თუ სადღაც ქსელავენ ახალ ინტრიგებს, ეს სხვა საკითხია. შეიძლება ჭორებსაც ავრცელებენ იმისათვის, რომ ზედმეტი დაძაბულობა შექმნან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და მათ შორის აჭარაშიც. მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავითარი საფუძველი ამას, ამ ჭორებს არ გააჩნია. შეიძლება, რაღაც ბანდიტურ ჯგუფებს, რომლებიც ისე, როგორც თბილისში, სამწუხაროდ, თარეშობენ, ჰქონდეთ ასეთი სურვილი, ბათუმშიც გაიმეორონ, რასაც აქ აკეთებენ. მაგრამ ეს აღკვეთილი იქნება სახელმწიფოს მიერ და არათუ დაგმობილი, არამედ იზოლირებული იქნებიან. ეს მე მჯერა, თუ ვინმე ლაპარაკობს, ალბათ, ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფი სადღაც. სხვა დონე აქ გამორიცხულია. უაზრობაა, სისულელეა და მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია ილაპარაკოს ამაზე.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის ელჩი

10 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ბატონი კენტ ბრაუნი.

ამერიკის ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა მის ქვეყანაში ახლახან გამოცემული წიგნი, რომელიც მსოფლიოში ცივი ომის დასრულებას ეძღვნება და, რომელშიც სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაში ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებულ როლს. ხაზი გაესვა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია იზიარებს თავისი წინამორბედის ენთუზიაზმს და კვლავაც აქტიურ პოზიციას დაიკავებს საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონში უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნის მიმართ. გარდა ამისა, აღინიშნა შეხვედრაზე, საქართველოს სტრატეგიული კურსი დემოკრატიზაციის გზაზე ყოველთვის გაგებასა და მხარდაჭერას ჰპოვებს ამერიკელი ხალხის თვალში, რაც ყველაფერთან ერთად კონკრეტული ტექნიკური თუ ჰუმანური დახმარების სახით იქნება მომავალშიც გამოვლენილი.

საქართველოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ამერიკის ელჩს მისი ქვეყნის თანადგომისათვის. აღნიშნა, რომ სიამოვნებით აღიქვა ის ფაქტი, რომ მისი წარგზავნილი ცნობილი მხატვარი ზურაბ წერეთელი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოში კმაყოფილებით აღიქვამენ კავკასიისადმი ვაშინგტონის ინტერესის გაძლიერებას. ამ რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება დღეს, რათა იგი არ იქცეს დესტაბილიზაციის დამატებით ფაქტორად მსოფლიოში. ამიტომ, მოვლენების განვითარება ამ რეგიონში მუდამ უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების, ცალკეული ქვეყნების და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღების არეში.

მიღებაზე განიხილეს როგორც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის პერსპექტივები, ასევე მსოფლიო განვითარების საერთო ტენდენციები.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამსახური.

საქართველოს საელჩოს პრესცენტრის ცნობა

დღეს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი გიორგი ვოლსკი შეხვდა არაბთა გაერთიანებული საამიროების დროებით საქმეთა რწმუნებულს რუსეთის ფედერაციაში ბატონ მოჰამედ ალგათამ ალ შაჰიბს. შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივ ურთიერთობათა პერსპექტივა, აგრეთვე საქართველოს სრულუფლებიანი დელეგაციის გამგზავრებისა და ეკონომიკისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის ხელშეკრულებათა დადების შესაძლებლობანი.

ამავე დღეს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ მოლაპარაკება გამართა ევროპის გაერთიანების კომისიის წარმომადგენლებთან უახლოეს მომავალში 12 მილიონი ეკიუს სასურსათო დახმარების გამოყოფის საკითხზე.

მიტინგი მეღვრეკისში

საქინფორმის კორესპონდენტი თემურ ნაციშვილი იტყობინება, რომ მიუხედავად საპარლამენტო კომისიების დაპირებებისა, სამაჩაბლოელმა ლტოლვილებმა ვერ მოახერხეს თავიანთ ძირძველ მიწაზე, საკუთარ კარმიდამოზე დაბრუნება. ამის გამო, 10 თებერვალს, 12 საათზე, სოფელ მეღვრეკისში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მომიტინგეების ძირითადი მოთხოვნები იყო სამაჩაბლოს პრობლემებზე დროული საპარლამენტო გადაწყვეტილების მიღება. შეწყდეს ლტოლვილების მოთხოვნების უგულებელყოფა. მკაცრი კრიტიკული შეფასება მიეცა რესპუბლიკის პრესისა და ტელევიზიის მუშაობას ამ საკითხების გაშუქებაში.

მომიტინგეებმა მიიღეს რეზოლუცია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიმართ, სადაც მოითხოვენ, რომ პარლამენტის უახლოეს სხდომაზე გადაწყდეს ყველა საჭირბოროტო საკითხი, მათ შორის, რადგან პარლამენტში არ არის ცხინვალის რეგიონის არც ერთი წარმომადგენელი, პარლამენტიდან გაწვეული დეპუტატების ნაცვლად შეყვანილ იქნეს სამაჩაბლოს წარმომადგენელი.

ლტოლვილები აღნიშნავდნენ, რომ ცხინვალში აღარ ფუნქციონირებს ქართული სკოლები, ინსტიტუტი, თეატრი, არ გამოდის ქართული პრესა. ცხინვალიდან გამოხიზნული ყველა დარგის სპეციალისტი, ინტელიგენციის წარმომადგენლები დღეს უმუშევრები არიან და მოითხოვენ, რომ დარგების შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა დროულად გაატარონ ღონისძიებები მათი დასაქმებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის I კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის, გადაუდებელი სოციალური საკითხების გადაწყვეტისა და საბაზრო ურთიერთობათა შემდგომი გაფართოების მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მუხლი 1. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში — 11.051.036 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში — 46.632.099 ათასი მანეთის, ხარჯების შემოსავლებზე გადამეტება (დეფიციტი) — 35.581.063 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროდ მიჩნეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ხუთწლიანი კრედიტი 27.581 მილიონი მანეთის ოდენობით, წელიწადზე გაანგარიშებით ერთპროცენტიანი სარგებლის გადახდით და ევროგაერთიანების კრედიტით შეძენილი პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები — 3 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები:

	ათასი მანეთი	
— დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი	3650270	—„—
— აქციზის გადასახადი	2091000	—„—
— მოგებიდან გადასახადი	3730085	—„—
— მოსახლეობიდან გადასახადები	526000	—„—
— სახელმწიფო ბაჟი, ადგილობრივი გადასახადები და შემოსავლები	32200	—„—
—შემოსავალი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან	200000	—„—
— შემოსავალი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან (საბაჟო გადასახადი)	86500	—„—
—შემოსავალი 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან	50000	—„—
— შემოსავალი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან	2400	—„—
—სატყეო შემოსავალი და წყალზე გადასახადი	15181	—“—
— მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლები	160000	—“—
— გადასახადი სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისაგან	5000	—„—
— შემოსავალი მატერიალური რეზერვების რეალიზაციიდან	500000	—“—

მუხლი 4. დაწესდეს 1993 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამომხმარებლო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი 35 პროცენტის, ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების, აგრეთვე იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ეწევიან სავაჭრო-შემსყიდველ, საშუამავლო და სანახაობით საქმიანობას, მოგებიდან გადასახადი — 45 პროცენტის, ერთობლივი საწარმოების მოგებიდან გადასახადი — 30 პროცენტის, სხვა არასახელმწიფოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების (არასახელმწიფოებრივ სავაჭრო საწარმოებში (მაღაზიებში) საფირმო გადასახადის შენარჩუნებით) მოგებიდან გადასახადი — 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო არასახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის — საფირმო გადასახადი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტში ეკონომიკის დაფინანსებისათვის, კერძოდ: სამრეწველო და სათბობ-ენერგეტიკული, სამშენებლო, აგროსამრეწველო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომპლექსების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები 12.790.782 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, სახელმწიფო პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის, საავადმყოფოებისათვის, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა დაფინანსებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 20.687.876 ათასი მანეთის ოდენობით.

(ათასი მანეთი)

	შემოსავალი	რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები			გასავალი
		სუბვენცია	მოკლევადიანი სესხი	გრძელვადიანი სესხი	
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	268576	333140	—	66300	668016
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	320451	292576	—	68110	681139
ქ. თბილისი	2038673	—	2369905	489840	4898418
ქ. ქუთაისი	221132	377925	—	66560	665617
ქ. ფოთი	38052	97078	—	15010	150140
ქ. ჭიათურა	63161	—	13952	8570	85683
ქ. რუსთავი	416160	—	—	—	416160
ქ. გორი	107450	74390	—	20210	202050
ქ. ტყიბული	24510	18917	—	4820	48247
ქ. ზუგდიდი	88312	—	16058	11600	115970
ქ. წყალტუბო	22647	33763	—	6270	62680
ქ. ცხინვალი	6609	74724	—	9040	90373
აბაშის რაიონი	3658	30694	—	3820	38172
ადიგენის რაიონი	3003	33944	—	4100	41047
ამბროლაურის რაიონი	5335	24385	—	3300	33020
ასპინძის რაიონი	1324	25041	—	2930	29295
ახალგორის რაიონი	4661	21414	—	2900	28975
ახალქალაქის რაიონი	5293	56423	—	6860	68576
ახალციხის რაიონი	13997	42886	—	6320	63203
ახმეტის რაიონი	14144	30000	—	4900	49044
ბაღდათის რაიონი	10857	22951	—	3760	37568
ბოლნისის რაიონი	40034	17120	—	6350	63504
ბორჯომის რაიონი	23682	21466	—	5020	50168
გარდაბნის რაიონი	42097	38654	—	8970	89721
გურჯაანის რაიონი	62191	—	—	7917	70108
დედოფლის წყაროს რაიონი	15511	21101	—	4070	40682
დმანისის რაიონი	9265	37172	—	5160	51597
დუშეთის რაიონი	9420	33571	—	4780	47771
ვანის რაიონი	10768	27880	—	4290	42938
ზესტაფონის რაიონი	57905	—	—	13846	71751
თეთრი წყაროს რაიონი	6696	36979	—	4850	48525
თელავის რაიონი	73507	—	10241	9300	93048
თერჯოლის რაიონი	39009	—	—	2316	41325
თიანეთის რაიონი	7040	26636	—	3740	37416
კასპის რაიონი	28249	23298	—	5730	57277
ლაგოდეხის რაიონი	44612	—	4751	5480	54843
ლანჩხუთის რაიონი	26068	16032	—	4680	46780
ლენტეხის რაიონი	933	24662	—	2840	28435
მარნეულის რაიონი	85433	15117	—	11170	111720
მარტვილის რაიონი	19478	26550	—	5110	51138
მესტიის რაიონი	1683	40371	—	4670	46724
მცხეთის რაიონი	45889	—	9911	6200	62000
ნინოწმინდის რაიონი	2374	40010	—	4710	47094
ოზურგეთის რაიონი	59495	32605	—	10230	102330
ონის რაიონი	3071	29918	—	3670	36659
საგარეჯოს რაიონი	19690	29235	—	5440	54365
სამტრედიის რაიონი	54123	—	4500	6510	65133
საჩხერის რაიონი	12211	29800	—	4670	46681
სენაკის რაიონი	31339	17822	—	5460	54621
სიღნაღის რაიონი	44035	—	4820	5430	54285
ქარელის რაიონი	14512	49857	—	7150	71519
ყაზბეგის რაიონი	1457	17747	—	2130	21334
ყვარლის რაიონი	31336	11713	—	4780	47829
ჩოხატაურის რაიონი	5616	28690	—	3810	38116
ჩხოროწყუს რაიონი	16128	19921	—	4000	40049
ცაგერის რაიონი	1869	26241	—	3120	31230
წალენჯიხის რაიონი	27114	25944	—	5900	58958
წალკის რაიონი	3389	49086	—	5830	58305
ხარაგაულის რაიონი	26840	12529	—	4370	43739
ხაშურის რაიონი	42246	—	8833	5680	56759
ხობის რაიონი	18781	25759	—	4390	48930
ხონის რაიონი	21689	17698	—	4380	43767
ჯავის რაიონი	746	26277	—	3000	30023
სულ	4755[illegible]	2487714	2442971	1036369	10722590

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯები 961.702 ათასი მანეთის, სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯები — 2.116.960 ათასი მანეთის, თავდაცვის ხარჯები — 2.939.659 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 8. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი 6.295.500 ათასი მანეთის, გასავალი — 41.876.563 ათასი მანეთის, ამ ბიუჯეტის გასავლის შემოსავალზე გადამეტება (დეფიციტი) 35.581.063 ათასი მანეთის და საბრუნავი სახსრები წლის ბოლოსათვის — 50.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის პირველ კვარტალში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გამოუყოს ხუთი წლის ვადით 27.581 მილიონი მანეთი ერთპროცენტიანი სესხი (წელიწადზე გაანგარიშებით) საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად. ამ სესხის გამოყოფა მოხდეს ფაქტობრივი საჭიროების მიხედვით.

მუხლი 10. დაწესდეს, რომ 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მთლიანად ჩაირიცხება:

— შემოსავალი საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან (საბაჟო გადასახადი);

— შემოსავალი 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან;

— შემოსავალი ფულისა და ნივთების სახელმწიფო ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან;

— შემოსავალი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან.

— შემოსავალი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების რეალიზაციიდან.

მუხლი 11. განისაზღვროს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1993 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 4.755.536 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში — 10.722.590 ათასი მანეთის, სუბვენციები და მოკლევადიანი სესხები საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან — 4.930.685 ათასი მანეთის და გრძელვადიანი — 5 წლის ვადით გადაცემული სესხები საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან — 1.036.369 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 12. განისაზღვროს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1993 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტები შემდეგი ოდენობით:

მუხლი 13. დამტკიცდეს 1993 წლისათვის სახელმწიფო გადასახადები და შემოსავლები ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში, შემდეგი ოდენობით:

ა) მოსახლეობის გადასახადები (გარდა საშემოსავლო გადასახადისა, რომლებსაც უკავებენ მოქალაქეებს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები), საპატენტო გადასახადი, სახელმწიფო ბაჟი, შენობების მფლობელთა გადასახადი, სატყეო შემოსავალი, გადასახადი სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისაგან, წყალზე გადასახადი ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, ჯარიმები, მოსაკრებლები, სხვა ადგილობრივი გადასახადები და არასაგადასახადო შემოსავლები 100 პროცენტის ოდენობით;

ბ) დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც უკავებენ მოქალაქეებს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

ქალაქებისა და რაიონების დასახელება	დამატებულ ღირებულებაზე გადასახადიდან ანარიცხების პროცენტი	საშემოსავლო გადასახადიდან ანარიცხების პროცენტი
ქ. თბილისი	99,4	97,0
ქ. ჭიათურა	73,7	90,0
ქ. რუსთავი	82,0	85,0
ქ. ზუგდიდი	86,3	76,0
გურჯაანის რაიონი	24,5	87,0
ზესტაფონის რაიონი	25,4	18,0
თელავის რაიონი	90,5	57,0
თერჯოლის რაიონი	2,8	57,0
ლაგოდეხის რაიონი	65,5	90,0
მცხეთის რაიონი	39,8	68,0
სამტრედიის რაიონი	70,8	88,0
სიღნაღის რაიონი	27,1	99,0
ხაშურის რაიონი	76,2	58,0

დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში 100 პროცენტის ოდენობით:

გ) აქციზის გადასახადი — 30 პროცენტის ოდენობით:

დ) მოგებიდან გადასახადი სახელმწიფო საწარმოების და ორგანიზაციების, სამომხმარებლო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასაბეგრი მოგების მთლიანი თანხის 10 პროცენტის, ბანკების, სააქციო საზოგადოებების, სადაზღვევო ორგანიზაციების, აგრეთვე იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ეწევიან სავაჭრო-შემსყიდველ, საშუამავლო და გასართობ-სანახაობით საქმიანობას — 15 პროცენტის, ერთობლივი საწარმოების — 9 პროცენტის, სხვა არასახელმწიფოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების (არასახელმწიფოებრივ სავაჭრო საწარმოებში (მაღაზიებში) საფირმო გადასახადის შენარჩუნებით) — 6 პროცენტის ოდენობით. ამასთან, ქ. რუსთავის ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს სისტემის საწარმოთა დასაბეგრი მოგების ერთი პროცენტი;

ე) დანარჩენი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან და შემოსავლებიდან გადასახადი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის № 286 დადგენილებით დამტკიცებული ოდენობით.

მუხლი 14. აიკრძალოს საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა თავისუფლება და შეღავათების მიცემა ბიუჯეტში გადასახადებისაგან. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1993 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. გამონაკლისის სახით საქართველოს საპატრიარქო (მისი თანამშრომელი და სასულიერო სასწავლებლები, ასევე ეკლესიის მსახურნი), აგრეთვე საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საეკლესიო დანიშნულების პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან.

მუხლი 15. გათვალისწინებულ იქნეს საბიუჯეტო დაწესებულებების წლის შენახვის ხარჯებში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხები შრომის ანაზღაურების ფონდის 26 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 16. განთავისუფლდნენ საბიუჯეტო დაწესებულებები 1993 წელს დასაქმების ერთიან რესპუბლიკურ ფონდში ანარიცხებისაგან შრომის ანაზღაურების ფონდის სამი პროცენტის ოდენობით.

მუხლი 17. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის თაობაზე.

მუხლი 18. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განიხილოს და გადაწყვიტოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხებისა და სავალდებულო სადაზღვევო შენატანების გადახდევინების, აგრეთვე პენსიებისა და დახმარებების გაცემის წესის სრულყოფის საკითხები;

— დააზუსტოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მუშაკების მიერ ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მიზიდვისათვის სტიმულირების წყარო. ამ სტიმულირების ძირითად წყაროდ გამოყენებულ იქნეს აღნიშნული პალატისა და დეპარტამენტის მიერ წარდგენილი და ფაქტიურად გადახდილი ჯარიმებიდან ანარიცხები;

— შეიმუშაოს და 1992 წლის ანალოგიურად სამოქმედოდ შემოიღოს არასახელმწიფო სავაჭრო საწარმოებისათვის მოგებიდან გადასახადის ნაცვლად საფირმო გადასახადი ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით;

— დააჩქაროს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დეტალურ ვადებზე ორიენტირებული გეგმის შემუშავება და მიმდინარე წლის პირველ მარტამდე წარმოუდგინოს პარლამენტს განსახილველად;

— ეროვნულ ბანკთან ერთად გააქტიუროს დამოუკიდებელ სავალუტო სისტემაზე გადასვლისათვის მზადების სამუშაოები და სისტემატურად მოახსენოს გაწეული მუშაობის შესახებ პარლამენტს;

— შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები ევროგაერთიანებიდან დამატებითი გრძელვადიანი კრედიტების მიღებისა და მათი მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად გამოყენების შესახებ;

— მიმდინარე წლის 15 მაისამდე განიხილოს სახელმწიფო უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის საკითხი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ფასიან სწავლებაზე გადასვლას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით;

— მიმდინარე წლის 1 აპრილამდე განიხილოს სახელმწიფო სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ფასიან კვებაზე ეტაპობრივად გადასვლის საკითხი ნაკლებ უზრუნველყოფილი მოსახლეობის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით;

— განიხილოს და წარმოუდგინოს პარლამენტს საკითხი საგადასახადო პოლიციის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

მუხლი 19. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს:

— განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები რესპუბლიკაში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოსაწესრიგებლად და შემდგომი სრულყოფისათვის;

— სისტემატური მეთოდიკური დახმარება გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ქმედითი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებაში.

მუხლი 20. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას გააძლიეროს კონტროლი საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრივ და მომჭირნეობით გამოყენებაზე. ამ მიზნით დაწყებული 1993 წლიდან უზრუნველყოს სამ წელიწადში ერთხელ ყოველი ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების კომპლექსური დოკუმენტური რევიზიის ჩატარება.

მუხლი 21. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემოსავლის ნაწილში 6362,0 მილიონი მანეთის, გასავლის ნაწილში — 5989,2 მილიონი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 422,2 მილიონი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი. 1993 წლის 28 იანვარი.

ელგუჯა ქვათაძე,
პროფესორი.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

საზრისი

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ გონივრულად ვერ გამოიყენა თანამედროვე ეპოქის ნაბოძები სიკეთე, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და საქმე შინაურ აშლილობასა და ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა.

ეროვნულმა მოძრაობამ ვერ გაითვალისწინა საქართველოსათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებები, როგორიცაა: მრავალეროვანი მოსახლეობა, საკუთარი ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა, კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუძლებლობა, ქართველების არნახული, მოჭარბებული ტენდენცია გონებრივ შრომაში დასაქმებისადმი და ა. შ.

ამ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობამ საქართველო მიიყვანა ეთნიკურ კონფლიქტამდე, ყოველდღიურად იღვრება ქართველთა სისხლი, მოიშალა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, კატასტროფულად მცირდება მატერიალური დოვლათის წარმოება და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სპეკულანტად და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლად გადაიქცა.

საქართველოს მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებს ახლად არჩეულ პარლამენტს და მის მეთაურს, პირველი სესიის სხდომებმა რელიეფურად გვიჩვენა, რომ პარლამენტის შემადგენლობაში საკმაო დიდი ხვედრითი წონა აქვს დიდი გამოცდილების მქონე, პატიოსან, პრინციპულ, კომპეტენტურ პარლამენტარებს. დიდად კმაყოფილი დავრჩი პარლამენტის მიერ გადადგმული პირველი სასიკეთო ნაბიჯით, რომელიც გამოიხატა სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის მართვაში სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით. ჩემი ღრმა რწმენით, ამ ნაბიჯმა სასიკეთო შედეგები უნდა მოგვცეს.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან კვლავ გაისმის დეკლარაციული ხასიათის სალოზუნგო მოწოდებები, რომლებიც არ გამოხატავენ დამოუკიდებლობის მაძიებელი საქართველოს შესაძლებლობებს. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ დღემდე გაცნობიერებული არ არის დღევანდელი საქართველოს შესაძლებლობები ეკონომიკური, სოციალური და ერთაშორის ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავებისათვის, რაც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის საქართველოს მომავლის პერსპექტივების დასახვის საქმეს.

ვინაიდან მრავალი ათეული წელი ვმუშაობ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე პარლამენტისათვის გამეზიარებინა კვლევის შედეგები ისეთ კარდინალურ საკითხზე, როგორიცაა მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების პრობლემის გადაწყვეტა. ამის აუცილებლობა მიკარნახა იმანაც, რომ დღეს პარლამენტის სხდომაზე კვლავ ისმის დეკლარაციული განცხადებები: „იმპერიამ თავს მოგვახვია სოფლის მეურნეობის კოლონიური დარგობრივი სტრუქტურა, რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანა"... „ორ-სამ წელიწადში დაიწყება მიწების ყიდვა-გაყიდვა, ცალკეული პირების ხელში აღმოჩნდება მიწის დიდი ფართობები და ამ გზით განვითარდება ფერმერული მეურნეობა".

როცა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ასეთ სიტყვებს ისმენ და კარგად იცნობ საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მიწათსარგებლობის განვითარების ისტორიულ პროცესის შედეგებს, შეუძლებელია დადუმდე და გულხელი დაიკრიფო.

ყიდვა-გაყიდვის უფლებით მიწის პრივატიზაციის მავნე მოსალოდნელ შედეგებს სათანადო შეფასება მივეცით გასული წლის 20 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილში „ახლა თქმა სჯობს უთქმელობას", ამიტომ ამ საკითხზე მკითხველს აღარ შევაწუხებთ. რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების პრობლემას, იგი შემდეგში მდგომარეობს: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოიცა აგრარული რეფორმა, რომელიც ფაქტობრივად არ განხორციელებულა... მიწის საშუალო ნორმა შეინარჩუნა მქონებელმა გლეხობამ, ხოლო ღარიბი გლეხობა, მიწის სიმცირის გამო, კვლავ უმიწოდ დარჩა. მათი რიცხვი 476 ათას მცხოვრებს შეადგენდა. მცირემიწიანობის უარყოფითი შედეგები მძიმე ტვირთად აწვა ღარიბ გლეხობას, რომელიც სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა — სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს დირექტიული ორგანოების მაშინდელმა მესვეურებმა სავსებით მართებულად განსაზღვრეს მცირემიწიანობის უარყოფითი შედეგების დაძლევის გზა და 20-იანი წლებიდანვე საფუძველი ჩაუყარეს სუბტროპიკული მეურნეობის, მევენახეობის და მეხილეობის დარგების განვითარებას.

მეურნეობის ამ დარგებმა საქართველოს სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე დააყენეს. შესაძლებელი გახდა მოკლე ვადაში დაძლეულიყო მცირემიწიანობის უარყოფითი შედეგები. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ კულტურებით დაკავებული 1 ჰექტარი მიწა 25-35-ჯერ მეტ შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე რუსეთის იმავე მოცულობის მიწა. ამ დარგების განვითარებამ საქართველოს ბარის მოსახლეობა საუკუნოვანი სიღარიბიდან ამოიყვანა და გლეხობის ყოფა-ცხოვრებას ფართო სარბიელი შეუქმნა. ვთხოვ „ურწმუნო თომებს" წავიდნენ ბარის რეგიონების სოფლებში, გაეცნონ სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, სოფლების მატერიალურ-კულტურულ ყოფას, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს და ა. შ. ვფიქრობთ, მათი გაცნობა შესაძლებლობას მისცემს ამ ადამიანებს ხელი აიღონ იმ მცდარ პოზიციებზე, რომელიც აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართ.

სუბტროპიკულ მეურნეობას, მევენახეობას და მეხილეობას უდიდესი ხვედრითი წილი აქვს საქართველოს ეროვნულ შემოსავალში, ამ დარგების მეშვეობით ახერხებდა საქართველო შეღავათიან პირობებში დაეკმაყოფილებინა რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებები სურსათზე და ყოფილ კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან შეუფერხებლად შემოეტანა მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები. მართალია, სსრ კავშირი აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ დღესა და მომავალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი სარბიელი ეძლევა სუბტროპიკული, მევენახეობისა და მეხილეობის დარგების განვითარებას. ყოფილ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ჩაით, ღვინით, კონიაკით, ხილითა და ა. შ. დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი წყარო კვლავ საქართველო არის. ამიტომ სუბტროპიკული მეურნეობის, მევენახეობის და მეხილეობის დარგების განვითარება მისი პროდუქციის ხარისხის მსოფლიო სტანდარტებამდე აყვანა კვლავ რჩება ერთადერთ ძირითად გზად მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ობიექტურ შეფასებას არ აძლევს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს სუბტროპიკულ, მევენახეობისა და მეხილეობის დარგებს საქართველოს ეკონომიკისათვის. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად მცირდება ჩაის, ყურძნის, ხილის წარმოება, ამით ხელიდან გვეცლება სურსათით მოსახლეობის დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობები.

საზოგადოების ერთ ნაწილს ისიც ჰგონია, რომ საქართველო საკუთარი წარმოების პურითა და მეცხოველეობის პროდუქტებით დაიკმაყოფილებს თავს, და მოითხოვს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლას იმ ანგარიშით, რომ წამყვანი ადგილი დაიკავოს მარცვლეულმა და მეცხოველეობამ, მართალია, საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მაგრამ მთელმა ერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს არა აქვს შესაძლებლობა, საკუთარი წარმოების პურეულით და მეცხოველეობის პროდუქტებით დააკმაყოფილოს მოსახლეობის მინიმალური საარსებო მოთხოვნილება.

საკუთარი წარმოების პურით საქართველოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა ახალი არ არის. იგი 40-იანი წლების ბოლოს საქართველოს თავს მოახვია კომუნისტური იმპერიის შემქმნელმა იოსებ სტალინმა. ამან დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს სოფლის მეურნეობას. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მარტო 1951 წლის დეკემბერში იძულებით დაიკლა 200 ათასზე მეტი ცხვარი, იმის გამო, რომ ხორბლის დასათესად გადახნულიყო მთელი ზამთრის საძოვრები. ეს მოვლენა აისახა კინოხელოვნებაშიც. ასეთივე ბედი ეწია მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად საქართველოს გადაქცევას, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაისახა. დაიხარჯა მილიონები, აშენდა მეცხოველეობის გიგანტური კომპლექსები, სამწუხაროდ, დღეს ბევრი მათგანი გამოკეტილია, ხოლო ზოგიერთი დაინგრა კიდეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიწის კერძო საკუთრების პირობებშიც, ჩვენი ღრმა რწმენით, კიდევ უფრო შემცირდება პურეულის წარმოება. ეს ბუნებრივიცაა. 1-1,5 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც პრივატიზაციის გზით გადაეცემა გლეხს, შესაძლებლობას არ აძლევს თანამედროვე მანქანა-იარაღების მეშვეობით მოიწიოს ხორბლის მოსავალი, ხოლო ყავლგასული ინვენტარი ფიზიკურად აღარ არსებობს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ რა ქნას საქართველომ, როგორ დააკმაყოფილოს სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილება? პასუხი ჩვენი ღრმა რწმენით ერთადერთია. კვლავ უნდა შევინარჩუნოთ მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკით შემოწმებული დღემდე არსებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ სუბტროპიკული, მევენახეობის და მეხილეობის პროდუქტების წარმოება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ცხადია, ასეთ პირობებში საქართველო თავისუფლად შეძლებს სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მეშვეობით არა მარტო დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

ცხადია, ამ პრობლემის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, მიუდგება თუ არა საქართველოს სახელმწიფო სარგებლიანობისა და გაუმჯობესების პოზიციებიდან სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი სტრუქტურების შენარჩუნებისა და რეორგანიზაციის საქმეს.

დაუნდობელი ბრძოლა

რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურატურაში გაიმართა თათბირი, რომელიც ეხებოდა დღევანდელ უმწვავეს კრიმინოგენულ ვითარებას.

თათბირზე გამოვიდნენ რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორი ალექსანდრე შუშანაშვილი, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯემალ შუბზურიძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე დემურ მიქაძე და სხვები.

სხდომის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სპეციალურ ბრძანებას ქალაქ თბილისში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ.

●

დახმარება ლტოლვილთ

ერთი თვეა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის წარმომადგენელთა დელეგაცია. იგი შეისწავლის საქართველოსათვის ფართომასშტაბიანი ჰუმანური დახმარების გაწევის პირობებს. როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა რობერტ სორიამ და კომისიის წევრებმა — უილიამ კლარმა და ჩინან დურაიმ თქვა, საქართველომ, სადაც დღეს 100 ათასამდე ლტოლვილია, უახლოეს მომავალში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის ეგიდით უნდა მიიღოს დიდი რაოდენობის ჰუმანური დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდები

გზა აღმოსავლეთისაკენ

ცხოვრებამ ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების საკითხი. საქართველოს დღეს სჭირდება სრულყოფილი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან.

ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთთან საქართველოს მუდამ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა, რაც ნაკარნახევი იყო, როგორც პოლიტიკური სიტუაციებით, ისე კულტურული „ალებ-მიცემობითაც". ის უხვი ფაქტობრივი მასალა, რაც ამ კავშირ-ურთიერთობების შედეგად დაგროვდა, გახდა ერთგვარი ბაზისი ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის დიდებული სკოლისა, რომლის სახელიც დიდი ხანია, გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

საძირკველი ამ სკოლას დიდმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაუდო. დღეს ამ საქმეს მისი მოწაფეები და თანამოსაქმეები აგრძელებენ. საყოველთაოდ არის ცნობილი, გამოჩენილი მეცნიერის, მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო აკადემიის წევრის, ამ ინსტიტუტის დირექტორის, ბ-ნ თამაზ გამყრელიძის სახელი. დღეს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ერთ-ერთი ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომელიც სისხლსავსე სამეცნიერო ცხოვრებით ცხოვრობს. უკანასკნელ ხანს კი, მის წიაღში ჩაისახა ახალი — აზიისა და აფრიკის ქვეყნების სასწავლო პროფილის ინსტიტუტი, მან დღევანდელ თავისუფალ საქართველოს უნდა აღუზარდოს მომავალი პრაქტიკოსი ორიენტალისტები, რომლებიც იმუშავებენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, საელჩოებში, სხვადასხვა ფირმებში, ორგანიზაციებში, დაეუფლებიან სპარსულს, არაბულს, თურქულს, იაპონურს...

ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მეცნიერი, ცნობილი არაბისტი, საქართველოს არაბულ ქვეყნებთან უთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ ჩიქოვანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა არაბეთის ქვეყნებში.

ვესაუბრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის რექტორს ბ-ნ გურამ ჩიქოვანს:

— საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ურთიერთობის რა პერსპექტივა არსებობს და როგორია თვით ამ ქვეყნების დაინტერესება საქართველოთი?

— პერსპექტივა მართლაც დიდია. კონკრეტული ნაბიჯებიც, რომლებიც საქართველომ გადადგა, ჩვენი უშუალო მეზობლების — ირანისა და თურქეთისაკენ, მეტად მნიშვნელოვანია და საგულისხმო. იწყება ახალი ერა ჩვენს ურთიერთობებში, რაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს ამ დარგის სპეციალისტებს. ამ ურთიერთობების გაფართოებას, ცხადია, სათანადო კადრებით უზრუნველყოფა სჭირდება. აი, სწორედ ამისათვის არის მოწოდებული ჩვენი ინსტიტუტი. აღმოსავლეთის ქვეყნები, როგორც იცით, მდიდარი ქვეყნებია, მათ უკვე განვლეს საბაზრო ეკონომიკის საფეხური, რომელიც საქართველოს გასავლელი აქვს. მალე, ალბათ, არაბულ ქვეყნებზეც გავალთ. არაბულ სამყაროში ორი ათეული ქვეყანაა წარმოდგენილი — ატლანტის ოკეანიდან სპარსეთის ყურემდე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ფინანსური შესაძლებლობებით უტოლდებიან და ზოგჯერ უსწრებენ კიდეც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, აქვთ თავიანთი პრობლემები, კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ნაკლებობაა. ამ მხრივ, საქართველოს შეუძლია თანამშრომლობა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან გეოლოგიის, ჰიდროგეოლოგიის, საინჟინრო-სამედიცინო და სხვა დარგების კადრებით. მაგრამ სპეციალისტების მომზადებას ძალიან დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

— შეუძლია თუ არა, თქვენს ასოციაციას დაეხმაროს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ თავიანთი სპეციალისტების გაგზავნა აღმოსავლურ ქვეყნებში?

— რასაკვირველია. საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ აღმოსავლურ ქვეყანას რა დარგის სპეციალისტი სჭირდება, აქედან გამომდინარე, ასოციაციას შეუძლია ჩვენში დაინტერესებულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყოს ურთიერთობების დამყარებაში აღმოსავლურ ქვეყნებთან.

— განსაკუთრებით რომელ აღმოსავლურ ქვეყანაში ჰყავს ასოციაციას მეგობრები?

— ჩვენს ასოციაციას ახლო კავშირი აქვს სირიასთან, სადაც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ჩვენი ასოციაციის უცხოელი წევრები, საქართველოს მეგობრები — „ვეფხისტყაოსნის" არაბულ ენაზე მთარგმნელი **ნიზარ ხალილი**, ლიტერატორები და მთარგმნელები: **შავქათ თუსეფი, ატეფ აბუჯამრა**, ქართველოლოგი, საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტი **ლადა ჯავიში** და სხვები.

ეს ის ხალხია, ვინც ქართულ ლიტერატურას და კულტურას უწევს პოპულარიზაციას სირიაში. სირიის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება მათი სტატიები საქართველოს კულტურის შესახებ.

სირიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი ცხონებული თანამემამულის ლევან სალარაძის ოჯახი. ლევან სალარაძის, როგორც გამომცემლის, და ნიზარ ხალილის, როგორც მთარგმნელის, უშუალო მონდომებითა და მონაწილეობით ამ ბოლო წლებში სირიაში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის" არაბული თარგმანი, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი", ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა" (გამოცემების რედაქტორი — გ. ჩიქოვანი) ა. წერეთლის პოეტური კრებული, რომელშიც შევიდა პოემა „გამზრდელი", (მთარგმნელი გ. ჩიქოვანი და ნ. ხალილი) და რჩეული ლირიკული ლექსები.

— იქ, სადაც პოლიტიკას უჭირს შეღწევა, ძალიან ხშირად მიზანს აღწევს ლიტერატურა...

— უდავოდ... ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ლიტერატურა ადამიანებს აახლოვებს, „გამზრდელის" გამოქვეყნება სირიაში იმ მხრივაც არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ იქ აფხაზები ცხოვრობენ, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ქართულ ლიტერატურაში აფხაზები და აფხაზეთი გაიდეალებულია.

არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციას თბილისში განზრახული აქვს, აღმოსავლური კულტურის ცენტრის დაარსება, რომელიც გახდება ამ დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება აქ ჩატარდება ლექციები, გამოფენები, იმუშავებს ბიბლიოთეკა, ინფორმაციის განყოფილება. ახლო მომავალში, თბილისში უნდა ველოდოთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დიპლომატიური კადრების შემოსვლას, რომელთათვისაც ეს ცენტრი უნდა გახდეს თავშეყრისა და ღონისძიებების ჩატარების ადგილი.

გარდა ამისა, ასოციაციასთან მუშაობს მთარგმნელობითი ცენტრი „პოლიგლოტი", რომელიც ემსახურება ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, როგორც მაღალკვალიფიციური მთარგმნელობითი, ისე, თარჯიმნული საქმიანობით.

ასოციაციასთან ამჟამად იქმნება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ხელშემწყობი ფონდი, რომელიც დაეხმარება ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში. მათ შორის, ვგულისხმობთ საზღვარგარეთ სტაჟირებას, სამეცნიერო მივლინებას, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოსთვის ხელსაყრელი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობას.

დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა, ვისაც სურს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობა, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ფონდის მუშაობაში, თავიანთი წვლილი შეიტანონ მის ფინანსურ უზრუნველყოფაში.

— ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ცნობილია, რომ ასოციაციასთან არსებობს აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი...

— დიახ, ინსტიტუტი ამზადებს კადრებს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში აზიისა და აფრიკის ქვეყნების განხრით. ადრე ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს არ ჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან უშუალო ურთიერთობის დამყარების საშუალება. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობას მოსკოვი განაგებდა. მოსკოვი დებდა ხელშეკრულებებს და კადრებითაც ძირითადად იგი აკომპლექტებდა საზღვარგარეთ მიმავალ კონტინგენტს. რესპუბლიკებს ამ პროცესში ჩართვის და მონაწილეობის მხოლოდ მცირე, ლიმიტირებული შესაძლებლობანი ჰქონდათ. ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები მხოლოდ თარჯიმნებად ახერხებდნენ წასვლას, რაც შეეხება, უფრო პასუხსაგებ თანამდებობებს, მათზე ძირითადად ცენტრი ნიშნავდა თავის ხალხს.

ამჟამად აზია-აფრიკის ინსტიტუტში მუშაობს ორი ფაკულტეტი — აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა და აღმოსავლური ენებისა და კულტურის ფაკულტეტები.

— ძირითადად რაზეა ორიენტირებული ინსტიტუტი?

— ინსტიტუტი ორიენტირებულია თანამედროვე პრობლემატიკაზე. აქ მზადდებიან პოლიტოლოგები, საერთაშორისო ჟურნალისტები, რეფერენტები, მთარგმნელები, ის კადრები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობებისა და შესაბამისი სამსახურებისათვის არაბულ ქვეყნებში, ირანში, თურქეთში, ისრაელში, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში.

ინსტიტუტს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში მოამზადოს სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის აწ უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების სპეციალისტები. ჩვენთან სწავლობენ უცხოელი, თურქეთიდან ჩამოსული სტუდენტებიც. მოსამზადებელ კურსებზე ისინი ეუფლებიან ქართულ ენას. ინსტიტუტში შარშან დაიწყო და წელსაც გაგრძელდება მუდმივმოქმედი სემინარები — „ახლო აღმოსავლეთის აქტუალური პრობლემები". სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეები. ინსტიტუტში სწავლა ფასიანია, სწავლების ვადა ხუთი წელია. სტუდენტთა პირველი ნაკადი შარშან მივიღეთ. ჩვენი ინსტიტუტი მოქმედებს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე.

სტუდენტები სწავლობენ ერთ ძირითად აღმოსავლურ ენას (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, ჩინური, იაპონური, ჰინდი) და ევროპულ ენებს. ამასთანავე, სამართალს, დიპლომატიის ისტორიას, აზიისა და აფრიკის ქვეყნების გეოგრაფიას, ისტორიას, დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურს, დიპლომატიურ დოკუმენტაციას.

ინსტიტუტში ასწავლიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე და კონსტანტინე წერეთელი, პროფესორები ჯემშიდ გიუნაშვილი, ნოდარ კომახიძე, თეო ჩხეიძე, ნოდარ ლომოური და სხვა წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები, რომელთაც უცხოეთში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ: გია ბერაძე, გოჩა ჯაფარიძე, დიტო გოჩოლეიშვილი, შოთა კორდოღლიშვილი, ვიქტორ ჩიკაიძე, შალვა გაბისკირია.

ჩვენი ინსტიტუტი მოწოდებულია, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო ძალისხმევით, მოამზადოს ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ღირსეულად წარადგენენ ჩვენს სამშობლოს, მისი ხალხის კულტურას აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ესაუბრა
მზია გელენავა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბი-ბი-სი: „შევარდნაძე სულ უფრო მეტი გავლენით სარგებლობს კავკასიაში"

საქართველოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის მეზობელ აზერბაიჯანში სახელმწიფო ვიზიტად ყოფნის დროს პრეზიდენტ ელჩიბეისთან მის მოლაპარაკებაზე ძირითადი ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ ურთიერთობას. შევარდნაძე იმედს ამყარებს შეთანხმებაზე აზერბაიჯანული ნავთობის საიმედო მიწოდებისა და ახალი ნავთობსადენის გაყვანის შესახებ, რომელიც აზერბაიჯანის ნავთობის საბადოებს დაუკავშირებს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს. ეს ღონისძიებანი აზერბაიჯანელებს შესაძლებლობას მისცემს გავიდნენ ევროპის ნავთობის ბაზრებზე, საქართველოს ეკონომიკას კი — ნავთობის გარანტირებულ მიწოდებას. შევარდნაძეს აგრეთვე სურდა მორიგებოდა ირანიდან გაზსადენით (რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს აერთიანებს), ბუნებრივი გაზის მოწოდების შესახებ. **გარდა ამისა, იგი ცდილობს ხელი შეუწყოს ადგილობრივი რეგიონალური პრობლემის — მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას.** საქართველოს ლიდერს სურს სახელი გაითქვას როგორც მშვიდობის შემოქმედმა ადამიანმა, რომელსაც შეუძლია მტრულად განწყობილი მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხას.

შევარდნაძე მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სსრ კავშირის კავკასიის ყოფილმა სამმა რესპუბლიკამ ერთად უნდა იმოქმედოს და მეგობრულად იცხოვროს. იგი ამიტომ შეეცდება აზერბაიჯანელები დაარწმუნოს დაეთანხმოს სამმხრივ მოლაპარაკებას. ჯერჯერობით კი მისი ასეთი წინადადება თითქმის ნაღდად განწირულია: აზერბაიჯანელებს მიაჩნიათ, რომ ისინი საცაა გამარჯვებას მოიპოვებენ ყარაბაღში; **მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ შევარდნაძე სულ უფრო მეტი გავლენით სარგებლობს კავკასიაში. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში შევარდნაძის საშუამავლო ძალისხმევამ და ამბიციებმა შეიძლება პოვონ ამ რეგიონის სამივე დიდი სახელმწიფოს — რუსეთის, თურქეთისა და ირანის მხარდაჭერა.**

გაზეთ „სევერნი კავკაზის" ცნობა

გაზეთი „სევერნი კავკაზი" წერს, აფხაზეთში, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის მუსა შანიბოვის ბრძანებულებით, დაიწყო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ჯარების სარდლობის ფორმირება. კონფედერაციის ჯარების სარდლად დანიშნულია ჩეჩენ მოხალისეთა ერთ-ერთი მეთაური შამილ ბასაევი, შტაბის უფროსად — ადიღეს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ამინ ზიხოვი. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ჯარების სარდლობა ამ ბრძანებულების თანახმად, დაექვემდებარება აფხაზეთის არმიის ხელმძღვანელობას. სარდალს მიეცა უფლება, პირად შემადგენლობას მიანიჭოს სამხედრო წოდებანი კაპიტნამდე.

როგორც გაზეთის კორესპონდენტს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შტაბის უფროსმა ამინ ზიხოვმა განუცხადა, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ჯარების ფორმირების დროს უფრო გულდასმით შეარჩიეს კანდიდატები, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, ისე აფხაზეთის ტერიტორიაზე ახლა მყოფთა შორის.

მოხალისეთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც პირადი ანგარიშიანი მიზნები ჰქონდათ. იანვარში აფხაზეთიდან გავიყვანეთ 17 კაცი, ახლა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მებრძოლთა სიები გამოქვეყნებულია, სხვა მიზნებით ჩამოსულ პირთა საქმიანობისათვის, მათი სოციალური დაცვისათვის მომავალში კავკასიის ხალხთა კონფედერაცია არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს, — განუცხადა „სევერნი კავკაზის" კორესპონდენტს ამინ ზიხოვმა. მან დაადასტურა, რომ კონფედერაციის ჯარებში იბრძვის თურქეთიდან, სირიიდან, იორდანიიდან ჩეჩნური დიასპორის დაახლოებით 50 წარმომადგენელი. აგრეთვე ბევრი ყუბანელი კაზაკი.

უპასუხა რა მოხალისეთა დამატებითი კონტინგენტის შეყვანის საჭიროების შესახებ დასმულ კითხვაზე, შტაბის უფროსმა დაასახელა ციფრი 300-400 კაცი. მან შენიშნა, რომ ამ საკითხებს გადაწყვეტს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი და სარდლობა.

ამასობაში, როგორც „სევერნი კავკაზი" წერს, იანვრის დამლევისათვის კონფედერაციის დაღუპულ მოხალისეთა რიცხვმა აფხაზეთში 61 შეადგინა. 28 დაღუპული იყო რუსი ან კაზაკი, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ოლქებსა და მხარეებს წარმოადგენენ, დაიღუპა სამი თურქი მოქალაქეც. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩასულ დაჭრილ მოხალისეთა რიცხვი ზუსტად ოთხმოცდაცამეტია.

რეორგანიზაცია დაიწყო

ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ იწყებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციას.

მისი მიზანია ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების აპარატის შემცირება და მისი მრავალრიცხოვანი ქვეგანაყოფების გაერთიანება ხუთ დიდ სამმართველოდ, რომელთაგან თითოეულს სათავეში ჩაუდგებიან სახელმწიფო მდივნის მოადგილეები.

შემცირდება სახელმწიფო დეპარტამენტის საშუალო რგოლის წარმომადგენელთა 40 პროცენტი. მეორე მხრივ, **დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელობას შეემატება ორი ახალი პოსტი. სახელმწიფო მდივნის მოადგილედ გლობალურ საკითხებში დაინიშნა კოლორადოს შტატისაგან ყოფილი დემოკრატი სენატორი ტიმოთი უირტი.** იგი კურირებას გაუწევს მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის, ადამიანის უფლებების, ნარკოტიკების გავრცელებასა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს, აგრეთვე ლტოლვილების, მოსახლეობისა და გარემოს დაცვის პრობლემებს. **პირველად შემოღებულ საგანგებო დავალებათა ელჩის — ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში სახელმწიფო მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობაზე დაინიშნა ჟურნალ „ტაიმის" ყოფილი რედაქტორი, ცნობილი პუბლიცისტი სტროუბ ტელბოტი. მას დაევალა კოორდინაცია გაუწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ბალტიის ქვეყნების, აგრეთვე საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკის ყველა ასპექტს.**

ბოსნიის პრობლემის მოგვარება ჭიანურდება

ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სამშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საკითხზე ნიუ-იორკის საზაო მოლაპარაკების რაუნდის შესახებ".

ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის საკოორდინაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეებმა საირუს ვენსმა და ლორდმა ოუენმა, აღნიშნულია მოხსენებაში, გამართეს მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდი ბოსნიის სამი მხარიდან თითოეულ მხარესთან. განიხილეს პრიორიტეტული მიმართულებანი — ცეცხლის შეწყვეტა, ბოსნია-ჰერცეგოვინისათვის კონსტიტუციის შემუშავება — არჩევნების მოწყობამდე პერიოდისათვის დროებით მორიგებათა შემუშავება, ბოსნიის მომავალი პროვინციების საზღვრები. თანათავმჯდომარეთა შეფასებით, ბოსნიის პრობლემის მოგვარების შესახებ მათ მიერ წამოყენებულ წინადადებათა რეალიზაციას დასჭირდება გაეროს ძალების 15-25 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

თითო აბზაცით

მოსკოვში არაოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი შეხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს. ნაშუადღევს დაგეგმილია მისი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან. მოსკოვში რიჩარდ ნიქსონის ყოფნის პროგრამაშია შეხვედრები ქვეყნის მთელ რიგ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, სანქტ-პეტერბურგში ჩასვლა. იგი ეწვევა ორ დამოუკიდებელ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას.

დიალოგი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოგვარდეს კონფლიქტები და თავიდან იქნეს აცილებული არეულობანი, რომლებიც გარდაუვალად ჩნდება დემოკრატიაზე ქვეყნების გადასვლის პერიოდში, განაცხადა სამშაბათს ლაგოსში გვინეის პრეზიდენტმა ლანსანა კონტემ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოგზაურის კვერთხი

ნისლის იქითა მხარეს

ლია სტურუა.

ნისლის იქითა მხარეს ისევ ნისლია, ოღონდ, უფრო სიზმრის მონათესავე. სიზმარში, თუ ნისლში იკვეთება ინგლისი, სადაც მივდივართ ფირმა „დე ლა რუ"-ს მიწვევით. ამ ფირმას არაფერი აქვს საერთო არც სიზმართან, არც ნისლთან, იგი სრულიად რეალურ ბანკნოტებს ბეჭდავს, როგორც ამბობენ, მსოფლიოში საუკეთესოს.

ნისლში ჩაწვეთებულ სისხლს გავდა ლონდონი. მუქი წითელი აგურით ნაგები ქალაქი (ინგლისური წითელი მხატვრობაში, ლიტერატურის მოყვარულთათვის — შექსპირული ვნებების ფერი), რომელიც თავისი ხმით ჩემთვის ყოველთვის შეესაბამებოდა სიტყვა rimember-ს, მის არა აზრობრივ, არამედ წმინდა ჟღერადობას — მამაკაცურს, აგურისფერს, ასევე შექსპირულს.

და, უცებ, ამ ქალაქის მისადგომებთან ვხედავ ფედერიკო ფელინის „ამარკორდიდან" ამოღებულ ოცნებას, გემის ფორმის შენობას (შუშა და ლითონი), იმ გემისა, რომელიც ომით, შიმშილით, სიბნელით დაუძლურებული, პატარა პროვინციული ქალაქის მკვიდრთათვის გაბრწყინებულ ბედნიერების სიმბოლოდ იქცევა, მაგრამ, სინამდვილეში, ისეთივე მირაჟია, როგორიც ნისლიდან გამოჩეკილი თეთრი ფარშავანგი იმავე ფილმში.

სად ფელინი და სად ინგლისი, მაგრამ ამ შეუსაბამო მოულოდნელობამ უფრო იოლი და მძაფრი გახადა ჩემი შეხვედრა ინგლისის დედაქალაქთან. მით უმეტეს, რომ ამ, ბოლო დროს, მეც ძალიან დავემგვანე იმ ბედკრული პროვინციის მცხოვრებლებს უმძიმესი ყოფისაგან გაწყვეტამდე მისული ნერვებით. ამ ემოციური პროლოგის მიუხედავად ლონდონი იმ დიდებულ სიმშვიდეს ასხივებს, მაინც, რომელსაც ველოდი: ნათელ დიკენსურ სევდას, შობისწინა მშვენიერ დღესასწაულს, მაგრამ უფრო თავშეკავებულს, ვიდრე სხვაგან, წმინდა ბრიტანულს. გემოვნება აქ მაღალია და დახვეწილია, მაგრამ მას საძირკველი აქვს და არა ფრთები, როგორც პარიზში, გოთიკა აკურულია და ცისკენ მსწრაფი, მაგრამ არა აალებული, როგორც ესპანეთში. კონსტებლის ნისლიანი პეიზაჟებიდან, გეინსბოროს გამჭვირვალე პორტრეტებიდან იმზირება ქალაქის სული. ჩემი ძველი ლიტერატურული მეგობრები დადიან ქუჩებში: მემკვიდრე სომს ფორსაიტი, ნათელი ჯოლიონი და არატიპიური ბოსინი, რომელიც ნისლში იღუპება ისევე, როგორც იღუპება მზისკენ მიდრეკილი ბაირონი, რომელსაც, ვან გოგისა არ იყოს, ორი დიდი მზესუმზირა ეზრდებოდა, ალბათ, ყურებში, და არათუ ცხოვრება, სიკვდილიც ცხელი მზის ქვეშ უნდა მოეძებნა. ვერცხლის ნატიფი ჩარჩოებიდან ამოეგდო თავისი ცხოვრების ისტორია.

პარლამენტი. ვესტმინსტერის სააბატო, ბიგ ბენი, ბუკინგამის სასახლე, ბავშვობიდან საყვარელი და განუმეორებელი ბეიკერ სტრიტი. ზოგი რამ, ალბათ, თვითონ ინგლისელებმა არ იციან თავის შესახებ ისეთი, რაც ჩვენ ვიცით. რატომ? თუ პოეტის თავშესაფარი სპილოს ძვლის კოშკია, მგრძნობიარე, ადამიანურ ცხოვრებაზე მეოცნებე კაცი წიგნების სამყაროში ცხოვრობს, კლასიკური ლიტერატურისგან აგებულ კოშკში.

ჩემი მშვენიერი კლასიკა!
სადღაც, სიყმაწვილის მიჯნაზე
მდგარი
ნატიფი სვეტი პართენონის,
ელსინორის კოშკის მაკეტი
და გმირები,
ცოლისფერი ხავერდის
ვულკანები...

აი, ამ სამყაროში თუ არ ვიცხოვრეთ, ნაწილობრივ, ან უნდა ჩავკვდეთ, ან თავი მოვიკლათ, ან ვიაჟროთ (ამ ბოლო დროს ასეთი გამოსავალიც გაჩნდა) მაგრამ ვისაც ეს არ შეუძლია?

დავდივარ ბეიკერ სტრიტზე, ვუყურებ შერლოკ ჰოლმსის ვიოლინოს, ჩიბუხს, მისი სახელობის სასტუმროს, რომელიც სავსეა ხალხით და საშობაო განწყობილებით. შერლოკ ჰოლმსი ხომ თავის დროზე მოუგონეს, როგორც პატარა, ცოდვილი, შეშინებული ადამიანის იმედი, მისი სიმშვიდის დარაჯი იმ ქვეყანაში, სადაც „შენი სახლი შენი ციხე-სიმაგრეა", ცივილიზებული ქვეყნის გონიერი დამცველი. მე კი არც მისი დედუქციური მეთოდი მშველის, არც მისი შემქმნელის ფანტაზია. ერთი იმედია — ჩემს სახლში, სროლით და შიშით სავსე ღამეებში, იქნებ, დამესიზმროს, მაინც, რომ ვიღაც გონიერი [illegible] უანგარო მიცავს, რაც მთავარია, უანგარო, იმ ქვეყანაში, სადაც ფულს ხელის ჭუჭყს ეძახდნენ და ახლა ისე გააღმერთეს, რომ, ლამის მამონას ძეგლი აღვმართოთ და წარმართებად ვიქცეთ ის უძველესი ქრისტიანი ხალხი.

გასაგებია, ტკივილის, გაჭირვების, ნერვების გარეშე სიახლე არ მოდის. კაპიტალიზმი ბიზნესის თავისუფლებას და პრიმატს ნიშნავს. კაცმა თავისი ნიჭით და შრომისმოყვარეობით უნდა გაიკაფოს გზა. ზარმაცი და ფუჭი მეოცნებე კაპიტალისტურ ქვეყანაში ვერ იარსებებს. მაგრამ როდესაც გარკვეული სახელი და სტატუსი გაქვს, როცა წიგნები გაქვს გამოცემული, მუსიკა დაწერილი, ქანდაკებები გიდგას და არც შრომა გეზარება, შეგიძლია დღე და ღამე გაასწორო, იმუშაო და პურის ფულზე ფიქრი გიხდება, ადამიანურ ცხოვრებაზე და მოგზაურობაზე, რაც აუცილებელია ხელოვანისთვის, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია (ინგლისში ფირმა „დე ლა რუს" მიწვევით ვიყავით და მთლიანად მის ხარჯზე), ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი მუტრუკები სისხლს გწოვენ და უსაშველოდ მდიდრდებიან და, მაინც, იმედი არ მტოვებს, იმედი იმისა, რომ შეიძლება გადავრჩეთ, „მშვენიერებამ გადაგვარჩინოს", რომელიც დღეს აღარავის ჭირდება, მაგრამ, მაინც, არსებობს ლექსში, მუსიკაში, ნახატში, ის თავს ვერ მოიკლავს, რადგან მარადიულია, მართალია, ტანჯული, როგორც სიზიფე, მაგრამ, სწორედ, სიზიფეს შრომა, ერთის მხრივ, უაზრო, ხოლო მეორეს მხრივ, მშვენიერი, არის შემოქმედება, ერის სული, რომელსაც ღმერთმა ტანჯვა და უკვდავება მიუსაჯა. და, თითქოს, ჩემი განწყობილების შესაბამისად ამ რესპექტაბელურ ლონდონში ხეტიალისას, მაინცდამაინც, ედვარდ მუნხის გამოფენას მივადექი. ფელინისა არ იყოს, გერმანელი ექსპრესიონისტი მუნხი, უცხოა, უჩვეულო ამ გარემოში, მაგრამ თავისი ტალანტის გამო, მაინც შესატყვისი, თუ შესაბამისი. დატეხილი ხაზებისგან შემდგარი ქალი ასეთივე დაკლაკნილ ხიდზე დგას და ყვირის. ასეც ქვია ნახატს „ყვირილი".

იშვიათად მინახავს, რომ ხაზსა და ფერს ასეთი აშკარა ხმა ჰქონდეს. ქალის დაგრეხილი ღია პირი ისეთი ძალით ყვირის, რომ მუნჯი ფილმების ნგრევას გავს ეს ნახატი. აქვეა ექსპრესიონისტული სეირნობა — წითელი და ყვითელი ნაჭერი ფერების მელოდია. არის ცეკვა, პლასტიკის ფერი — ლამაზი, ნერვიული, მგრძნობიარე.

იქნებ, ამ მხატვრობის შესაბამისობა ბრიტანულ გარემოსთან იმავე რიგის მოვლენაა, როგორც ვისოცკის მიერ შესრულებული ჰამლეტი. ჯინსში გამოწყობილი, გიტარით ხელში, ჩახლეჩილი ხმით, უტრირებული თანამედროვე პოზით რომ ქმნის ჰამლეტის, შეიძლება, სახეს კი არა, მაგრამ განწყობილებას, ხავერდის ვიწრო ჰამლეტების საპირისპიროდ. ვის შეეძლო უფრო მტკივნეულად დაესვა შეკითხვა ყოფნა არ ყოფნის შესახებ, თუ არა ამ გალოთებულ, მთლად ტკივილად ქცეულ, თვითნაბადი ოქროს ნატეხს, ვისოცკის?

ვის შეეძლო უფრო შექსპირული რიჩარდის და მეფე ლირის შექმნა, თუ არა ქართველ რეჟისორს? ქართული აღმატებითი ხარისხის, ვარდბულბულიანებზე შხამისა და ქეჟაფის შესხმის, გენიალურად დახლართული ინტრიგების ფონზე ბევრი სისხლის მეწამულ მფრინავ ცხენებად გარდასახვა ქართული სამყაროსთვის შექსპირსა თუ კაფკას, ალბათ, ისეთივე ახლობლებად აქცევს, როგორებიც რუსთაველი და გალაკტიონი არიან.

პატარა ქალაქ უინჩესტერში ვნახეთ შექსპირის მაკბეტი. იშვიათად მინახავს სპექტაკლი, უფრო უფერული და უნიჭო. გამოდიოდნენ სცენაზე მსახიობები და ფრიადოსანი მოსწავლეებივით კითხულობდნენ ტექსტს. კუდიანების მისტიური სცენები სამი ჭორიკანა ქალის ლაპარაკს გავდა. სად იყო ლედი მაკბეტის სისხლიანი ხიბლი, რომელზედაც შარლ ბოდლერი წერდა, რომ:

„მის გულს, უფსკრულივით
უძიროს,
ეძვირფასება ლედი მაკბეტის
ბოროტმოქმედი და
რკინისებური სული".

ამ სპექტაკლზე ჩვენ მხატვარმა დიზაინერმა დევიდ უილსონმა წაგვიყვანა და როცა დარცხვენილები თვალს ვარიდებდით და ვცდილობდით სალაპარაკო თემა მოგვენახა, თვითონვე გვითხრა: — ეს რა საშინელება იყო, ბევრი ვებრძოლე ჩემს თავს და ბოლოს, მაინც დამეძინაო. ინგლისურმა იუმორმა გვიშველა, იმ დახვეწილმა იუმორმა, რომელიც საკუთარი თავის გაკენწვლით იწყება / და, ამიტომ, სხვათა მიმართაც მწარე, მაგრამ უწყინარია.

თავისთავად, უინჩესტერი ულამაზესი პატარა ქალაქია. საერთოდ, ძველ კულტურულ ქვეყნებში დიდ ქალაქებზე გაცილებით ლამაზი, მყუდრო და განწყობილებიანი პატარა ქალაქებია, შუა საუკუნეების ანტიკვარული ქალაქები. აქ ყველაფერი ძველებურია, ფესვებიანი, ახალიც ისეა სტილიზებული, რომ ძველისგან ვერ გაარჩევ. რაც მთავარია, ასეთი ქალაქები დაცული არიან იმ თანამედროვე შუშისა და ფოლადის მონსტრების აშენებისგან, რომლებიც რაც არ უნდა მშვენიერი მოგვეჩვენოს ჩვენ, ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას მაინც არ უყვარს, მაგალითად, ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სახლი, ყველაზე საძულველი, „კანადურ კონგლომერატს" რომ ეძახიან.

პატარა ულამაზესი ქალაქია უინძორი, სადაც, სწორედ, ჩვენი ჩასვლის წინ იყო ხანძარი, ამიტომ, შიგნით, სასახლეში არ უშვებდნენ, მაინც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს, სასახლეში ვიყავი, რადგან ქალაქი, რომელსაც დაჰყურებს შუა საუკუნეების ეს უშველებელი კოშკი, თვითონ გავს მუზეუმს. პატარა, კოხტა სახლები, აგური და კრამიტი, ნისლზე დაწვეთებული სისხლი, რძე და ღვინო.. მაგონდება:

აქ სიმკვრივე—სილბილის
ფერი ფერებს ეხება,
სახურავი პილპილის
ელვარებამ შეღება,
იგი ისე კრიალებს,
როგორც სისხლის იარა,
თითქოს, აქ მოთქრიალე
წვიმამ გადაიარა.

მაგრამ ეს გაჭირვებული პოეტის ხედვაა. უინძორის შინაგანი კომფორტი წვიმას და ნისლს მაქმანად და არშიებად აქცევს, აგურისფერ სახლებს რომ აკვდებიან და სახლებიც საშობაო საჩუქრებს გვანან, რომლებითაც გავსებულია პატარა მაღაზიები. ვიწრო ქუჩებში ადამიანები დადიან, მხიარული სახეები აქვთ მათ, კოსტიუმები აცვიათ დეკემბრის თვეში, რადგან იქვე თბილი მანქანები ყავთ, ყველა შენობაში თბილა, თუ არ ცხელა, ტრადიციულ ინგლისურ პაბებში ბუხრები ანთია. ერთ მათგანში შევდივართ, გათოშილები, რადგან ზამთარში უპალტოოდ ქუჩაში სიარულს მაინც ვერ შევეჩვიეთ, მაგრამ აგუზგუზებული ბუხარი მათბობს, მთენთავს და მცხეთა მაგონდება, თავისი ასეთივე არქაული სილუეტით, ჯვრის მონასტრის გუმბათზე მიხატული მთვარით. მარანში ტაბლას ვუზივართ, ბუხარში ცეცხლი ანთია, ლამაზ და ტკბილ სიტყვებს ვეუბნებით ერთმანეთს, რადგან ერთმანეთი გვიყვარს, ქართული ცა, ქართული სადღეგრძელო გვიყვარს, რომელიც მტკვარივით თუ თაფლივით მოედინება. რას წარმოვიდგენდით მაშინ, რომ სიძულვილი ისე დაგვეთიშავდა, რომ მეგობრები, ძმები, ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაკარგავდნენ და ერთნი ფანატიზმის კუპრში ჩაცვივდებოდნენ, მეორენი — ცრემლების მორევში.

ჩემს თავს ვატყობ, რომ ყველაფერი, რაც ადრე მახარებდა, აღარ მახარებს. ზღაპარი, რომელიც ამ სამი წლის წინ ისე მიყვარდა, როგორც ბავშვს და მამშვიდებდა, მაიმედებდა, აღარ მიყვარს, უფრო სწორედ, მეშინია, ჩემი დანგრეული ფსიქიკით მის სრულყოფილებას შევეხო, მეშინია, არ დავღუპო მისი სილამაზე.

ევროპული შობა ზღაპარს გავს, რომელსაც ბუდაპეშტშიც შევხვედრივარ, მიუნხენშიც, პარიზშიც, მაშინ ჩვენი შობაც, ასეთი საყოველთაო დღესასწაული არ იყო, მაგრამ ყველას თავისი საკუთარი შობა ჰქონდა, ჩვენი შესაძლებლობისა და ფანტაზიის ფარგლებში. ახლა ჩვენი შობა დაღუპული ულამაზესი ბიჭებითაა სავსე, ამიტომ — ცრემლითა და სისხლით და, პირველად სიცოცხლეში, პატარა ნაძვისხე, რომელიც მორთული და გამზადებული მიდევს კარადაში, ვერ ამოვიღე შობის ღამეს და ვერ დავდგი. შეიძლება, ახალ წელს ვაჯობო ჩემს თავს და შვილის გულისთვის, მაინც, დავდგა ნაძვისხე, ფერადი ნათურებიც ავანთო, თუმცა ყველაფერი ეს გულისგარეთა არეებში მოხდება, გულში სიბნელე და მწუხარებაა მხოლოდ. შუქიც მუდმივად ქრება. როგორც ჩანს, ელექტრონი ქიფს უხდება, ხოლო ლექსი თუ ვერ დაწერე, ან ქანდაკება ვერ დადგი, ამით არაფერი დააკლდება ჩვენს გამეჯლანუაშვილებულ ცხოვრებას. ღმერთმა ყველას სიკეთე, სიმდიდრე და სინათლე მისცეს, მაგრამ არა მგონია, რომ ხელოვნებაზე 40 ათას მანეთიანი ჩექმის გადავლით საქართველო ერად დარჩეს და, მითუმეტეს, დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოდ. თავს ვიიმედებ, რომ ეს არ მოხდება, განსაკუთრებით, ახლა, როცა ასეთი გონიერი კაცი გვიდგას სათავეში. ინგლისის ტელევიზიამ ერთსაათიანი გადაცემა გააკეთა მასზე. ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს, რომ ადგილობრივი აფხაზური ომი გლობალურ საშიშროებად შეიძლება იქცეს. თბილისში ჩამოვედი და გავიგე, რომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ მინისტრი სოხუმში გაემგზავრნენ ქართველ მებრძოლებთან ერთად ახალი წლის შესახვედრად. სხვისი არ ვიცი, ზოგს, იქნებ, ლაჩრობა მიაჩნია დახვეწილ ინტელიგენტობად, ჩემის აზრით კი, გონება, ვაჟკაცობით გამყარებული, ის თვისებაა, რომელმაც არამც თუ მოყვარის, მტრის მიმართაც კი პატივისცემით უნდა განგაწყოს.

ღმერთო, გვაღირსე კათარზისი ჩვენი მრავალწლიანი და სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ!

კათარზისი ვახსენე და ჩვენი სტრატფორდში მოგზაურობა დამიდგა თვალწინ. უინჩესტერში ნანახი სპექტაკლის უფერულობა შექსპირის სახლ-მუზეუმმა, მისი ცოლისა და მშობლების სახლებში მიღებულმა შთაბეჭდილებამ დამავიწყა. აი, სად უნდა ეძებო მისი სიტყვის ფერ-ხორცი, მისი ვნების დამანგრეველი ძალა და იმ წინააღმდეგობათა ერთობლიობა, რასაც აპოლონიური და დიონისური საწყისების შეთავსება ქმნის. შექსპირის ქალაქური სახლი ჩვეულებრივი სახლია, ალბათ, კომფორტაბელურიც, იმ დროის პირობაზე. ისლით გადახურული სოფლის სახლში კი, რომელიც მის ცოლს, ენ ჰეტვეის ეკუთვნოდა, მიწის, საძირკვლის ძალა ვიგრძენი, მხრჩოლავი კვამლი, ნადირობის მამაკაცური ჟინი. ძალიან არ მიყვარს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ქართველი შექსპირი" ან „ქართველი ბაირონი", ჩემი მოწაფეობის დროინდელი ლიტერატურის სახელმძღვანელოების პატრიოტული პრიმიტივიზმი, მაგრამ რაც უნდა ახლობელი იყოს ჩემთვის დიდი ინგლისელი, ფიქრს, რომელიც ასოციაციურია და საფუძველში ეროვნული, ვაჟა-ფშაველასთან მივყავარ, უსახსრობასა და გაჭირვებას რომ „პირში ბალახის ამოსვლას" ეძახდა. ალბათ, შექსპირმაც ამიტომ ამჯობინა სოფელში ცხოვრება, სადაც დარდი ასეთ მეტაფორაში ეძებს გამოსავალს, რაც ქალაქში, შეიძლება, თვითმკვლელობას უდრიდეს.

სპილენძის ჭურჭლიდან თუ ამოდიოდა ღამ-ღამობით ლედი მაკბეტის სული, ბოდლერის წითელი იდეალი. მიწაზე დადებულ უხეშ მოყავისფრო სარეცელზე კონტრასტის კანონით ითხზვებოდა ქათქათა, გამჭვირვალე აბრეშუმიდან ამოყვანილი სიყვარულები ჯულიეტასი და ოფელიასი.

რიჩარდ მესამის ქართული ბუნება კი გაოცებს ისევე, როგორც ის, რომ სიტყვა „ტაუერი" მწვერვალს ნიშნავს. ბნელი საპყრობილე, სისხლით გაჟღენთილი, მოკლულთა აჩრდილებით სავსე და მწვერვალი? მაგრამ ჯოჯოხეთის ქვესკნელსაც აქვს, ალბათ, თავისი წვერო — ბოროტების აღმატებითი ხარისხი, საიდანაც ვარდნა უფრო მტკივნეული და მტანჯველია.

უცნაურად საინტერესოა შექსპირის მშობლების სახლი-ფერმა, სადაც ისევ ვაჟა-ფშაველას სულთან სიახლოვე მიპყრობს. აქ ცხოვრობენ მიმინოები, არწივები, ბუები. და ეს ძალა უხეში, მძლავრი, მეფური საოცრად ლბილად სახიერდება ხელნაწერებში, რომლებიც სტრატფორდის სახლ-მუზეუმში დევს. მწერლის ხელწერა მკვეთრი და დახვეწილია, ისეთი, თითქოს, არწივების გვერდით კი არ იზრდებოდა, და ისლით გადახურულ, ოფლით გაპოხილ სახლში კი არ ცხოვრობდა, არამედ ვარდის ბაღში და უშველებელი კათხებიდან კი არ სვამდა ლუდს, არამედ პორცელანის ნატიფი ფინჯნიდან ჩაის წრუპავდა. იქნებ, სწორედ, ეს წინააღმდეგობით სავსე ბუნება დიდი კაცისა იყო ათასნაირი ლეგენდის საბაბი, რომელთაგან არც ერთისა არ მჯერა, განსაკუთრებით, მატერიალისტი ფრენსის ბეკონის შექსპირობა, რადგან მწერლის არა თუ რეალიზმში, არამედ, ზოგჯერ ნატურალიზმშიც კი ისეა მისტიკა შეპარული, როგორც არწივის გულში ვარდი.

შექსპირი-პოეტი უხშირესად ფიქრობს იმაზე, „როგორ უნდა შეინარჩუნო ვარდის ალისფერი სუნთქვა, როცა დროის ალყა კლდეებს, ბრინჯაოს სვეტებსა და ქანდაკებებს ამსხვრევს".

უთუოდ, ჯავილნარში ცხოვრობს პოეტი, სადაც ბულბულის ნაცვლად არწივი დაფრინავს. ეს აშკარა შეუსაბამობა, პარადოქსულობაა სწორედ შემოქმედება, პოეზია, ხოლო ის, რაც წერია პოეზიის შესახებ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, არის „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები".

(დასასრული იქნება)

სურათზე: შექსპირის სახლ-მუზეუმი სტრატფორდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი კითხვა ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს

აუცილებელია ტურიზმის კანონი

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე სალია:

დაიბადა 1942 წელს ქ. ტყვარჩელში.

1964 წელს დაამთავრა ხარკოვის კომუნალური მშენებლობის საინჟინრო ინსტიტუტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით, ხოლო 1971 წელს — მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის ასპირანტურა.

გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც განვლო გზა უფროსი ეკონომისტიდან მთავარ სპეციალისტამდე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — ასისტენტიდან დოცენტამდე, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1977 წლიდან პარტიულ-სამუშაოზე — ხელმძღვანელობდა წალკისა და ოჩამჩირის რაიონულ, ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტებს.

1985-1989 წლებში იყო საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.

1991 წლის მარტში დატოვა სკპ რიგები.

იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად, ხოლო იმავე წლის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარედ.

არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

— როგორ შეაფასებდით, ძალიან მოკლედ, საქართველოს ტურიზმში ამჟამად შექმნილ მდგომარეობას?

— ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური ვითარებაა — გრძელდება ომი, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დარგის სავალალო მდგომარეობას. ტურისტული ბაზები, სასტუმროები, კემპინგები სავსეა მრავალრიცხოვანი ლტოლვილებით, ამიტომ უშუალოდ ტურიზმის მტკივნეულ საკითხებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევად მიმაჩნია..

უკეთეს დღეში არც ეკონომიკური თვალსაზრისით ვიმყოფებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უაღრესად შეზღუდულია ჩვენი მისვლა-მოსვლა ამა თუ იმ ქვეყანაში. მხოლოდ საქმიან ვიზიტებს ვჯერდებით...

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო ახლანდელი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გაუმჯობესებისათვის და კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ აუცილებლად უახლოესი თვეების მანძილზე?

— უპირველეს ყოვლისა, ვიმედოვნებ, რომ საქართველოში მალე გამოსწორდება საერთო მდგომარეობა, რაც შესაბამის ასახვას პოვებს ტურიზმშიც.

უნდა ვიფიქროთ პროექტებზე, თუ რა სახსრები გამოვძებნოთ დარგში დასაბანდებლად, უნდა დავაინტერესოთ უცხოელი ინვესტორები, ამთავითვე დავსახოთ მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან, ჯეროვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ რეკლამას.

ყოველივე ამას სერიოზული, მრავალმხრივ გააზრებული მუშაობა სჭირდება მრავალ პარტნიორთან, რათა საუკეთესო პროექტი შეირჩეს.

დასახელებულ განზრახვებს ხორცი უნდა შეასხან კომპეტენტურმა პირებმა სათანადო არგუმენტებით. ვფიქრობ, საამისო ინტელექტუალური პოტენციალი სისტემაში გაგვაჩნია.

გარდა ამისა, უნდა ვიზრუნოთ, რათა მიღებულ იქნეს კანონი საქართველოში ტურიზმის შესახებ, რასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მჯერა, ჩვენი კოლექტივი შესაბამის საპარლამენტო კომისიასთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული კანონის მიღებას.

ხაზი მინდა გავუსვა, რომ აუცილებელია გამოიკვეთოს ტურიზმის კომიტეტის, როგორც სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს როლი რესპუბლიკის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში.

— როგორ გესახებათ თქვენი უწყების მუშაობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

— ჩვენი მთავარი ამოცანაა არა გამომგონებლობის დაწყება, არამედ ცნობილი ტურისტული ინდუსტრიის მქონე ქვეყნების — ესპანეთის, იტალიის, ისრაელის, ბულგარეთის და სხვათა — გამოცდილების შესწავლა, ოღონდ უნდა გამოირიცხოს ბრმა გადმოღება. ჩვენი ქვეყნის თავისებურებებთან შეჯერება საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ დარგის განვითარების თანამედროვე მოდელი.

გეზი უნდა ავიღოთ, რათა ტურისტული საწარმო, დაწყებული სასტუმროთი, დამთავრებული ტურისტული ბიუროთი და სააგენტოთი, გავათავისუფლოთ სამეურნეო მეურვეობისაგან.

მოგეხსენებათ, დღეს ჩვენთან ნებისმიერი ტურისტული ობიექტი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ყველა სახის საკუთრების ტურისტული წარმოებების შექმნას. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის საქმეში განმსაზღვრელად გვესახება ჩვენი დარგის თანამშრომელთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაოდ და, განსაკუთრებით, ტურისტული ობიექტების მატერიალური მდგომარეობა. ამ უკანასკნელი ფაქტორიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა გამოვნახოთ საშუალება და მოვახდინოთ მისი აკუმულირება, რათა შემდგომში ეს სახსრები მოხმარდეს დარგის თითოეული ობიექტის წესრიგში მოყვანას. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვნახოთ ამ ფონდების ფორმირების არაორდინარული გზები, თუნდაც ეს კომიტეტისათვის ისეთი უფლების მონიჭებას მოითხოვდეს, რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა არ თავსდება საბაზრო ეკონომიკის რაკურსში.. ამ პერიოდში ტურიზმი წარმოდგენილი იქნება კერძო, სახელმწიფო და საკუთრების სხვა სახეებით.

დასასრულ, დავძენ: აღნიშნული მდგომარეობა აღიარებული უნდა იქნეს ყველა ნორმატიულ აქტში, რომლებიც ტურიზმის დარგს ეხება.

ესაუბრა

გია პლატონიშვილი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

ცივი ზამთარი წინათაც გვქონია

● გაწუხებთ, ოთხმოც წელს მიღწეული კაცი, აქედან სამოცდაათი წელი თბილისში გამიტარებია და ასეთი ცივი ზამთარი, წელს რომ გვაქვს, არ მახსოვს. იქნებ შეგვატყობინოთ, უწინ თუ ყოფილა უხვთოვლიანი ზამთარი.

გრიგოლ ლომიძე,
პენსიონერი

გვიპასუხებს მეტეოროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის მეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანი ინჟინერი მარიამ ალექსიშვილი: — ჯერ კიდევ იანვრის ბოლო რიცხვებში ევროპის ჩრდილო-დასავლეთის რაიონებიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელება იწყო ჰაერის საკმაოდ ცივმა მასებმა, რაც თებერვლის პირველ რიცხვებშიც გაგრძელდა. ამან საქართველოში მნიშვნელოვანი აცივება, თოვა და დროგამოშვებით დასავლეთის ქარის გაძლიერება გამოიწვია, რომლის ძალა ზოგჯერ მტკვრის ხეობაში წამში 20 მეტრს აჭარბებს.

დასავლეთ საქართველოს ბარში 1-2 თებერვალს ღამით 3-8 გრადუსი ყინვა აღინიშნა, ხოლო 2 თებერვალს სამტრედიასა და ქობულეთში — ღამით 11 გრადუსი. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ამ დღეებში შიდა ქართლში ღამით 13-17, დღისით 4-9, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 17-22 გრადუსი ყინვა იყო.

წლევანდელი ზამთარი უხვთოვლიანობითაც გამოირჩეოდა. თოვლის საფარის სიმაღლე ბარში 4 თებერვლისათვის ათიდან ორმოც სანტიმეტრამდე იყო. მთიან რაიონებში — ზოგან ორ მეტრს აჭარბებდა, მაგალითად, ხულოში 204 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლია, ჯვრის უღელტეხილზე — 230 სანტიმეტრი, მაგრამ უნდა ითქვას, თვის ამ დროისათვის ასეთი დიდთოვლობა იშვიათი მოვლენა არ არის. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დიდთოვლობით გამოირჩეოდა 1987 წელი. ცივი ზამთარი გვქონდა 1991 წელსაც. მაშინ პირველიდან თერთმეტ თებერვლამდე თითქმის მთელ საქართველოში ყველგან თოვდა, და ზოგან მთიან რაიონებში თოვლის საფარმა ორ მეტრსაც გადააჭარბა. ტემპერატურაც საგრძნობლად დაეცა. დასავლეთ საქართველოს ბარში — 2-6 გრადუსი იყო, ზუგდიდში, ჩოხატაურში, ქობულეთში — 9 გრადუსი. ამ პერიოდში ციოდა ქართლშიც. შიდა ქართლში (ხაშური, გორი) მინუს 14-16 გრადუსი აღინიშნა.

ცივი ზამთარი სხვა წლებშიც გვქონდა, ზოგჯერ თებერვალში შიდა ქართლში 20 გრადუსი ყინვაც ყოფილა, მაგალითად, 1927 წელს ღამით გორში — 21 გრადუსი აღინიშნა, 1950 წელს ღამით თბილისში 11 გრადუსი ყინვა იყო.

ასე რომ, ცივ ზამთარს ბევრჯერ შევუწუხებივართ.

უახლოეს დღეებში ცივი ჰაერის გავლენა დასავლეთის მხრიდან მაინც არის მოსალოდნელი. ამის გამო დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში და ზოგან აღმოსავლეთშიც მოსალოდნელია ნალექი, უმეტესად თოვლის სახით. დასავლეთ საქართველოში ღამით 0-5 გრადუსი ყინვაა მოსალოდნელი, დღისით — ამდენივე ოდენობის სითბო, მთაში ღამით — 5-10 გრადუსი იქნება, დღისით — 3 პლიუს 2 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში ღამით — 10-15, დღისით — 3-8 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით — 5-10, დღისით — მინუს 2, პლიუს 3 გრადუსია მოსალოდნელი, მთაში — 10-15, მაღალმთიან რაიონებში — 17, დღისით 0-5 გრადუსი.

დაპირება დაპირებად რომ არ დარჩეს

● თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დასახელებული გქონდათ მაგნიტური ქარიშხლიანი დღეები და მკითხველებს ჰპირდებოდით, რომ მომდევნო თვეებშიც გამოაქვეყნებდით ჯანმრთელობისთვის ასეთ არახელსაყრელ დღეებს. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. არა და, მათი გამოქვეყნებით დიდ სამსახურს გაუწევდით გულსისხლძარღვთა დაავადების მქონეთ პროფილაქტიკური ღონისძიებების მისაღებად.

ანა ოკინაშვილი,
თბილისი

პასუხისათვის დავუკავშირდით საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ გიორგი უშვერიძეს, რომელმაც გვაცნობა: იმის გამო, რომ შეწყდა სამეცნიერო კავშირები რუსეთის ბევრ კვლევით ინსტიტუტთან, განსაკუთრებით ნოვოსიბირსკის გეოფიზიკის ცენტრთან, საიდანაც ძირითადად ვიღებდით საინფორმაციო ცნობებს, რთული ატმოსფერული პროცესების თაობაზე, ჯანმრთელობისათვის არახელსაყრელი დღეების განსაზღვრა და პრესისათვის მიწოდება დღესდღეობით არ შეგვიძლია. მაგრამ გვინდა კავშირი დავამყაროთ საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის დუშეთის ლაბორატორიასთან, რომელიც მაგნიტურ ქარიშხლებზე ახდენს დაკვირვებებს და, ვფიქრობთ, მათ მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, შევძლებთ ამ დღეების განსაზღვრას და მოსახლეობასაც რეგულარულად მივაწვდით.

მედლები მოსკოვიდან

4 მედალი და გუნდური მეორე ადგილი მასპინძელთა შემდეგ — ასეთია ტატამის 5 ახალგაზრდა ქართველი ოსტატის მიერ მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ნაჩვენები შედეგი.

65 კგ წონის კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა გიორგი ვაზაგაშვილმა. ასპარეზობის მესამე პრიზიორები გახდნენ სოსო ლიპარტელიანი, გიორგი რევაზიშვილი და მევლუდ ლობჟანიძე.

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გუნდი, ამჯერად, უკვე უძლიერესი შემადგენლობით, 19 თებერვლიდან ჩაებმება თბილისის პოპულარულ საერთაშორისო ტურნირში.

ახალი ლიდერი

მოჭადრაკე ქალთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა ნინო ხურციძე, რომელმაც დაამარცხა ყოფილი ლიდერი — ციალა ქასოშვილი.

მას 4,5 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს ქეთევან მელაშვილსა და მირანდა ხორავას.

ფინიშამდე 4 ტური დარჩა.

ანგარიში უცვლელია

ბუდაპეშტში მიმდინარე იუდით პოლგარ-ბორის სპასკის ისტორიული საჭადრაკო მატჩის მეექვსე პარტია 48-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ანგარიში 2:1 უნგრელი ტალანტის სასარგებლოდ ძალაში რჩება (ყაიმები, როგორც მოგეხსენებათ, სათვალავში არ მიიღება).

მსოფლიოში უძლიერესნი

ჩოგანი

ფეხბურთის ისტორიის საერთაშორისო ფედერაციამ, რომლის სამდივნოც გერმანიის ქალაქ ვისბადენში იმყოფება, გაავრცელა მის მიერ მოწყობილი მთელი რიგი გამოკითხვებისა და გამოკვლევების შედეგები.

ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში გატანილი 12 გოლით მსოფლიოს 1992 წლის საუკეთესო ბომბარდირად დასახელებულია ჰონდურასის ნაკრებისა და ტეგუსიგალპას „დეპორტივო მოტაგუას" მოთამაშე ეუზარ აუგუსტო ობანდო. სნაიპერთა ათეულში მოხვდნენ დენის ბერხკამპი (ჰოლანდიის ნაკრები და ამსტერდამის „აიაქსი"), რაი (ბრაზილიის ნაკრები და „სან-პაულუ"), იოზეფ კიპრიხი (უნგრეთის ნაკრები და როტერდამის „ფეიენოორდი"), აბდულა ტრაორე (კოტ დივუარის ნაკრები და აბიჯანის „ასეკ მიმოსასი"), იან რაში (უელსის ნაკრები და „ლივერპული"), ფერნანდო იერო (ესპანეთის ნაკრები და მადრიდის „რეალი"), ლუის რობერტო ალვესი (მექსიკის ნაკრები და „ამერიკა სიუდად დე მექსიკო"), ხუან ფრანსისკო ურიბე (მექსიკის ნაკრები და „დეპორტივო ლეონი") და ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთის ნაკრები, მარსელის „ოლიმპიკი" და იტალიის „მილანი").

• • •

აზიის განვლილი წლის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს იაპონელი კაზუიოში მიურა, ხოლო ოკეანიისა — ბრემენის „ვერდერის" ახალზელანდიელი თავდამსხმელი უაინტონ რუფერი.

• • •

მსოფლიოს 1992 წლის საუკეთესო მსაჯად დასახელებულია გერმანელი არონ შმიდჰუბერი.

• • •

პლანეტის გასული წლის უძლიერესი მეკარე, ამ გამოკითხვის შედეგების თანახმად, არის დანიელი პეტერ შმაიხელი, რომელიც ამჟამად ინგლისის „ჩელსის" კარის დარაჯი გახლავთ.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

მესამე წლით დატოვეს

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა პედაგოგ გულნარა კარიჭულის აღზრდილმა ვოკალისტმა ალა სიმონიშვილმა წარმატებით დაამთავრა იტალიის სახელგანთქმული ოზიმოს მუსიკალური აკადემია. თავის ორ თბილისელ მეგობარ ქალიშვილთან, მომღერლებთან მაია ჩიხრაძესა და ნანა გორდაძესთან ერთად იგი მესამე წლით დატოვეს აკადემიაში. ვოკალურ ხელოვნებაში ასეთი რამ იშვიათად ხდება.

მოითხოვეს გამგეობის გადადგომა

8 თებერვალს თელავის რაიონის საკრებულოს შენობის წინ რაიონის პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით გაიმართა მიტინგი. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ განვლილი ერთი წლის მანძილზე საკრებულოს გამგეობამ ვერ შეძლო მწვავე სოციალური საკითხების შემსუბუქება. რთულია ვითარებაა პურის ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ქალაქის კომუნალური მომსახურების საქმეში. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს გამგეობის გადადგომა, ასევე თხოვნით მიმართეს რესპუბლიკის პარლამენტს და მის ხელმძღვანელობას, რათა შეისწავლონ გამგეობის საქმიანობა.

ზურაბ არსენიშვილი.

არნახული თოვლის მიზეზით

ტყიბულში სრული სიმძლავრით ვერ მუშაობენ შახტები. ქალაქის მისასვლელებთან დგას მატარებლები, უმოქმედოდაა ავტოტრანსპორტი, შეფერხებებით იღებენ ელექტროენერგიას. მაღაზიები გამოცარიელებულია, ფქვილის მარაგი დაილია. ამის მიზეზია უკანასკნელი წლების მანძილზე უმაგალითო თოვა.

აშკარა, დაუჯერებელი...

ეს მომავალ საქართველოს სჭირდება

ამ რამდენიმე ხნის წინათ რესპუბლიკის პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში მცხოვრებმა სპი-ს ლექტორი, ფიზიკოსი, შარლ ჯანჯღავა თავისი პედაგოგიური მეთოდით შესანიშნავ შედეგებს აღწევს მეხსიერების ამაღლების საქმეში. იგი მსმენელებს ინგლისური ენის შესწავლის პარალელურად რამდენიმე ათეულჯერ უმაღლებს დამახსოვრების უნარს. ამ ფაქტმა ფართო საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ, ჩვენი კორესპონდენტის მზია გელენავას საუბარს ბატონ შარლ ჯანჯღავასთან.

— როგორი მახასიათებლებით შეიძლება მეხსიერების ამაღლების შემოწმება?

— მოგიყვანთ ასეთ მაგალითს: წელს აყვანილი 10 მსმენელიდან მეცადინეობის დაწყებისას მშობლიურ ენაზე ერთ წუთში 150-200 სიტყვისაგან შემდგარი ტექსტიდან მხოლოდ ერთმა შეძლო 3 სიტყვის მიმდევრობით დამახსოვრება, დანარჩენებმა კი ვერც ერთის. კურსი შეიცავს ასამდე მეცადინეობას.

ოცდამეხუთე მეცადინეობაზე მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა:

1) ინგლისურიდან რუსულად თარგმნილი ტექსტის ერთ წუთში წაკითხვით 10-დან 8 მსმენელი იმახსოვრებს 100-130 სიტყვას მიმართვების ზუსტი დაცვით.

2) ჩვეულებრივი ტემპით ერთხელ წაკითხვით 150-170 რუსულ-ინგლისური სიტყვის დამახსოვრება შეძლეს, რა თქმა უნდა, სიტყვათა მიმდევრობის დაცვით.

3) ლექსიკონიდან ერთი წაკითხვით მათ შეუძლიათ დაიმახსოვრონ 40-დან 90 სიტყვამდე.

4) რაც ყველაზე მთავარი მახასიათებელია, ერთი თვის წინ განვლილი გაკვეთილიდან, რომელიც შეიცავს 30-35 ინგლისურ წინადადებას, მათ შეძლეს დაემახსოვრებინათ თითქმის უშეცდომოდ 27-32 წინადადება და დაეწერათ 4-7 წუთის განმავლობაში. ხაზგასმით გამოვყოფ, რომ ყველა ეს შედეგი მიღწეულია კვირაში მხოლოდ 5-საათიანი მეცადინეობით. აქვე აღვნიშნავ, რომ იმ მოწაფეების მიერ მიღწეული შედეგები, რომლებსაც სურდათ სპეციალობის ინგლისურ ენაზე შესწავლა, გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ კურსის დამთავრების შემდეგ ისინი შეძლებენ ინგლისურ ენაზე 2-3-საათიან ზეპირსიტყვიერ მოხსენებას.

— შეგიძლიათ თუ არა, მახსოვრობის ამაღლების რაიმე გარანტია მისცეთ ადამიანებს, რომლებსაც ახალგაზრდები აღარ ჰქვიათ?

— ახალგაზრდების მსგავს შედეგებს მათ მე ვერ დავპირდები, მაგრამ ადამიანებს, რომლებსაც აუცილებლობა უკარნახებს საქმიანი კონტაქტები დაამყარონ ინგლისურენოვან ქვეყნებთან, შემიძლია დავპირდე, რომ ისინი როგორც მინიმუმი, ათჯერ გაიზრდიან მახსოვრობას და მის პარალელურად ინგლისური ენის აღქმის უნარს. ამისათვის აუცილებელია ინგლისური წერა-კითხვის ცოდნა და საზღვარგარეთთან კავშირი, რადგან მხოლოდ საზღვარგარეთ ყოფნა იძლევა პრაქტიკულ შედეგს.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ აპირებთ სპეციალური სკოლის ჩამოყალიბებას, როგორ გიხატებათ იგი?

— სკოლა უნდა წარმოადგენდეს საშუალო და უმაღლეს სკოლათა შუალედურ სასწავლებელს, სადაც მიღება იწარმოებს V კლასიდან. მოსწავლეებს თავიდანვე ჩაუტარდებათ სპეციალური კურსი, რომლებიც მისცემს შესაძლებლობას იმდენად განივითარონ მეხსიერება, რომ ქართულ ენაზე სწავლის პარალელურად ინგლისურ ენაზე აწარმოონ ყველა საგნის შესწავლა. მათი მეხსიერება ისე გაძლიერდება, რომ შეეძლებათ 4 წელიწადში დაამთავრონ საშუალო სკოლა. შეისწავლონ რამდენიმე ენა. მოსწავლეთა მომზადება გარანტირებული იქნება საგნის არა რამდენიმე გაკვეთილის სამიანზე დამახსოვრებით, არამედ ამ საგნის სრული შესწავლით. მათი მეხსიერება დახასიათდება უნიკალურობით. IX კლასიდან მიდრეკილებისა და შემოქმედებითი უნარიანობის მიხედვით ყველა მოსწავლე განაწილდება ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1) ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შეისწავლის ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიას).

2) სამედიცინო-ბიოლოგიის ფაკულტეტი.

3) ფიზიკა-ტექნიკური ანუ გამომგონებელთა და კონსტრუქტორთა ფაკულტეტი.

4) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

მოსწავლეებს, რომლებსაც ექნებათ უცხოეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მომზადებული იქნებიან იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიც აპირებენ სწავლის გაგრძელებას — იაპონია იქნება ეს, ჩინეთი თუ ესპანეთი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მათი უკვე თვისებაში გადასული მახსოვრობის უნარი იმდენად მაღალი იქნება, რომ ორ წელიწადში X და XI კლასში ისინი ადვილად შეისწავლიან შერჩეული სპეციალობის უმაღლესი სასწავლებლის პირველ და მეორე კურსის საგნებს მათ მიერვე შერჩეულ ენაზე.

ეს ის მინიმუმია, რასაც ეს სკოლა შეძლებს და რაც ბევრისათვის დაუჯერებელიც აღმოჩნდება. მათ მინდა გავახსენო ის მიღწეული შედეგები, რომელთაც იძლევა გამოყენებული მეთოდი კვირაში მხოლოდ ხუთსაათიანი მეცადინეობით 25 გაკვეთილში და ვთხოვ, წარმოიდგინონ, რა შედეგების მიღებაა შესაძლებელი ხუთი წლის განმავლობაში დღეში 5-საათიანი მეცადინეობით.

— ეს მართლაც ნანატრი საკვირველება იქნება, განსაკუთრებით ჩვენ დღეში მყოფი ერისათვის. როგორ არის იმ იდეის პრაქტიკულად განხორციელების საქმე?

— ძალიან ცუდად. რესპუბლიკაში არ არსებობს არც ერთი სამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია შესაფერისი ფართობის გამოყოფა. თეორიულადაც კი შეუძლებელია დღევანდელ პირობებში მოსწავლეთა ერთი სკოლიდან სხვადასხვა სკოლებში გადანაწილება სკოლის შენობის გათავისუფლების მიზნით. პრობლემის გადაწყვეტას შეუძლებელს ხდის ის გარემოება, რომ ერთი კი არა, რამდენიმე სკოლის შენობა იქნება საჭირო, რადგან მოსალოდნელია მხოლოდ მეხუთე კლასში ჩარიცხვის მსურველებმა შეავსონ ერთი სკოლის მთელი ფართობი. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მთავრობის დონეზე, ამიტომ მოწოდებული თხოვნით მივმართავ ქართველ ინტელიგენტ პატრიოტებს, ყველა ქართველს, რომლებიც ხვალინდელი საქართველოს შექმნას დღეს უყრიან საფუძველს, ამ წერილზე პრესაში თუ ტელევიზიაში საკუთარი აზრის გამოხატვით გამიწიონ დახმარება, რათა საქართველოში, ამ სკოლის შენობებით დახუნძლულ ქვეყანაში, შეიქმნას მომავალ მამულიშვილთა სასწავლო კერა, სადაც ღრმა ცოდნის შეძენის პარალელურად, უნიკალურობამდე აყვანილი, თვისებაში გამოვლენილი მახსოვრობით შეიქმნება შემოქმედებითი შრომის სურვილის გაღვივების ცენტრი და იწარმოებს ჩვენი მომავლის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა.

ნება მომეცით, ახლა მე მივმართო ჩვენს საზოგადოებრიობას: — შეკითხვით — ასეთი იდეის მქონე, რომელიმე საზღვარგარეთელ მოქალაქეს მსგავსი წინადადებით რომ მოემართა ჩვენი ქვეყნისათვის, აღმოუჩენდნენ თუ არა მას პრაქტიკულ დახმარებას?

ჩემი საკონტაქტო ტელეფონია 37-05-47.

კაცი ვარგოდეს, თორემ...

ოთარ ხუციშვილი

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

ბატონ ვანო ოქროწინაშვილს ამჯერად მკითხველთა ინიციატივით შევხვდი. მას გავაცანი შეკითხვა, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა გამოუგზავნეს:

— ბატონო ვანო, დარწმუნებული ვართ, პრესასაც კითხულობთ და ტელევიზორსაც უსმენთ. აქ ჩვენს თეორეტიკოსებსა თუ პრაქტიკოსებს ერთი დავა და სჯა-ბაასი აქვთ. ერთნი ამტკიცებენ, რუსეთის სამანეთო სივრცეში თუ დავრჩით, დავიღუპებითო, მეორენი — თუ არ დავრჩით, სწორედ მაშინ დავიღუპებითო. დავიბენით ხალხი, აღარ ვიცით, რომელს დავუჯეროთ. იქნებ ამის თაობაზე თქვენ მაინც გვითხრათ კომპეტენტური სიტყვა?

— რა გითხრათ, რით დაგაიმედოთ? ყოველ შემთხვევაში ვერაფერ სანუგეშოს ვეტყვი იმათ, ვინც სამანეთო სივრციდან გაქცევას ლამობს. მერწმუნეთ, რაც უფრო გავიწევთ ამ სივრცისაკენ, მით უფრო მეტად აღმოვჩნდებით მასში ჩათრეული. ეს საბაზრო ეკონომიკის ანბანური საკითხია — მშიერი და ღონემიხდილი კაცი ვერსად გაიქცევა. თუ პირიქით მოიქცევი — მჭიდროდ ითანამშრომლებ რუსულ მანეთთან, დაგროვებ და გამდიდრდები, მერე საითაც გენებოს, გაიქეცი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მაინც და მაინც მანეთიანები შევაგროვოთ. ჩემს კომერციულ მაღაზიაში, მაგალითად, კარგა ხანია ხუთთუმნიანზე ნაკლებს არ ვღებულობ, შენახვით კი მხოლოდ ხუთიათასიანებს და ოქროულს ვინახავ.

ესეც არ იყოს, თუ ვისმეს სამანეთო სივრცე არ მოსწონს, ადგეს და სხვა სივრცეში იმუშაოს. ხომ ფაქტია, ვინც, მაგალითად, სპილენძის ბიზნესში დასპეციალდა, თურქულ სივრცეშიც მშვენიერი მოგება ნახა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში არც ირანული სივრცე იქნება წამგებიანი. პირადად მე სამანეთო სივრცეს არაფერი მირჩევნია (განა ამ დაწუნებულ სივრცეში არ დავაგროვე მილიონები?). კაცი თავად ვარგოდეს, სარფიანად ირჯებოდეს, თორემ რომელ სივრცეში გააკეთებს ფულს, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ვთქვათ, ასეა, მაგრამ სამანეთო სივრცეში თვით რუსებიც რომ ვალებში იხრჩობიან? ახლა ყური მოვკარი, თურმე ამ ვალების საზღვარგარეთ გაყიდვას აპირებენ. თუ ეს მართალია, ბატონო ვანო, ჩვენ იქიდან წილი არ უნდა მოვითხოვოთ?

— აბა, არ უნდა მოვითხოვოთ? ეგენი რომ ვალებს აგროვებდნენ, როგორ ფიქრობთ, ჩვენ მაშინ ჩრდილში ვისხედით და ბუზებს ვითვლიდით? მე თუ მკითხავთ, იმ ვალებში ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტი წვლილი ჩვენ მიგვიძღვის. ხომ ფაქტია, ეგრეთ წოდებული საბჭოთა ხალხებიდან ყველაზე სტუმართმოყვარე, მომლხენი და მოქეიფე ქართველები ვიყავით და თუ ვისმე ვალი დაედებოდა, ჩვენ უნდა დაგვდებოდა. ასე რომ, რუსეთის მხრიდან დიდი უსამართლობა და უზნეობა იქნება, ვალები გაყიდონ და ჩვენ წილ თანხაზე უარი გვითხრან.

— ეს მოტივია, ბატონო ვანო, და არა იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პროცენტის მოთხოვნა შეგვეძლება.

— ჩვენც ავდგეთ და შევქმნათ ასეთი დოკუმენტი. ამდენ კანონშემოქმედებით მოღვაწეობას ვეწევით და ამის დაწერა რატომღა გაგვიჭირდება? ეს სხვა მხრივაც გაგვიწევს სარგებლობას — ვიდრე სამართლებრივი ნორმები შეიქმნება, ვალები კიდევ უფრო დაძველდება, უკეთეს ფასში გაიყიდება და პროცენტიც მეტი შეგვხვდება.

— ეს უდავოდ შეგეშველება, მაგრამ მე სხვა, გვერდითი იდეაც გამიჩნდა. თუ რუსები ვალებს ყიდიან, რატომ არ შეიძლება ჩვენ კიდევ, ვთქვათ, სადღეგრძელოები გავყიდოთ? მახსოვს ერთ დროს უცხოელებს ისინი ძალიან მოსწონდათ, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, აბა, ყიდვაზე სიტყვა ვის დასცდებოდა?

— მშვენიერი აზრი მოგსვლიათ. ამ ეტაპზე სადღეგრძელოების გაყიდვა ნამდვილად შეიძლება, მით უფრო, რომ საჭმელ-სასმელი და საქეიფო არაფერი დაგვრჩა. ეგ კი არა, საზღვარგარეთ შეიძლება ჩვენი აღიარებული თამადებიც მივავლინოთ (ისინი ხომ ახლა ფაქტობრივად უმუშევრები დარჩნენ), რომლებიც იქ გამოცდილების გავრცელების მიზნით ერთგვარ სკოლა-კოლეჯებს გახსნიან, სუფრის მართვისა და სადღეგრძელოების წარმოთქმის მაღალ ხელოვნებას შეასწავლიან უცხოელებს.

შეიძლება ზოგმა ეს ქართული კაპიტალის (ინტელექტის) გადინებად შერაცხოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამაში ცუდი არაფერია. თუ საზღვარგარეთიდან გვინდა მოვიზიდოთ კაპიტალი, ჩვენი სხვისთვის რატომღა უნდა დავიშუროთ? ეგეც არ მეპარება, ჩვენს ენაწყლიან თამადა-ინვესტორებს ბიზნესისა არაფერი შეეშლებათ, უცხოეთში მოღვაწეობით საკუთარ თავსაც ასარგებლებენ და ქვეყანასაც.

ერთი ეგ არის, სადღეგრძელოების შემოკლება-დახვეწასა და კონვერტირებაზე მუშაობა დაგვჭირდება (საზღვარგარეთ გრძელი ლაპარაკი არ უყვართ). ისე, კაცმა რომ თქვას, თუ ჰორი შეიძლება იყოს კონვერტირებადი (თქვენს გაზეთში ამოვიკითხე), რატომ არ შეიძლება სადღეგრძელოების კონვერტირებაზეც ვიზრუნოთ? თუ ამას მივაღწევთ, ისინი სწრაფადაც გაიყიდება და ძვირადაც.

— მერე, ხომ რომ გავყიდით და ერთი ორი, ჩვენ თვითონაც დაგვჭირდეს?

— ამაზეც უნდა ვიფიქროთ. სულ ომსა და გაჭირვებაში ხომ არ ვიქნებით. მოვა დრო — დავმშვიდდებით, გავმდიდრდებით, ქეიფსაც მივუბრუნდებით და სადღეგრძელოებსაც. ჰოდა, მაშინ ჩვენი სადღეგრძელოები ჩვენვე, რომ არ გაგვიხდეს შესასყიდი (ისინი უკვე ერთიასად იქნება გაძვირებული), მათი დედნები აქედანვე საიმედოდ უნდა გადავინახოთ. ასლები და ჩანაწერები? რა გვენაღვლება, რამდენსაც მოისურვებს მომხმარებელი, იმდენი უნდა გავამრავლოთ და გავყიდოთ.

* * *

ბიზნესმენისთვის რაღაცის კითხვას კიდევ ვაპირებდი, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე. ის იყო სტუმარი გავაცილე, რომ სარედაქციო ფოსტიდან ვინმე ვ. გიორგაძის წერილი შემომიტანეს. ბიზნესმენები დიდ სახელმწიფო საქმეებს აკეთებენ, თქვენ კი ერთთავად მათ განქიქებაში ხართო — გვსაყვედურობს იგი. მაგრამ არა მგონია ამ საყვედურს ვიმსახურებდეთ: ჩვენს გაზეთში ასეთ ბიზნესმენებზე არასდროს ხრავის აუგი არ დასცდენია, (თუ არის მაგალითი დაგვისახელოს). რაც შეეხება ვანო ოქროწინაშვილს, რომელიც ზოგს რატომღაც ქორვაჭარში ეშლება, ხალხში ისეთი რეიტინგით სარგებლობს, საეჭვოა მას რომელიმე მკითხველის წახმარება დასჭირდეს.

კარიკატურისტის კომენტარი


მაზაფხულზე იონჯა მოვა?

მხატვარი ლევან მართაშვილი.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გ ა ც ნ ო ბ ე ბ თ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება**, ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

დღეისათვის ხელზე არსებული შემნახველი ბანკის მიერ გაცემული ძველი ნიმუშის სერთიფიკატები უნდა გადაიცვალოს ახალ სერთიფიკატებზე 1993 წლის 15 მარტამდე.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

დაზუსტება

ა. წ. 6 თებერვალს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „ხსნის არმია თბილისში" გაიპარა უზუსტობა. აქ მოხსენიებული პარლამენტის აპარატის თანამშრომელი კოტე გაბაშვილი და თბილისის მერი სხვადასხვა პიროვნებები არიან.

გაზეთების „რესპუბლიკისა" და „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჟურნალისტ გია იოსელიანს მამის

საშა (ალექსანდრე) იოსელიანის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-23; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА